საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ერთობა

შაბათი 2 ოქტომბერი 1920 წ.

ფასი 10 მანეთი

გაზეთის ფასი თვეში 250 მანეთი. ცალკე [illegible] 10 მანეთი განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 მანეთი მეოთხე გვერდზე 10 მანეთი სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივ ზომის (15 × 2) 300 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: ერთობის ქ. № 4. შესასვლელი რუსთაველის ქუჩის № 18-თან კანტორის ტელეფონი 16—62 რედაქციის 14—76

№ 223 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 223

საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის
ცენტრალური კომიტეტი
მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული.
შესასვლელი რუსთაველის ქუჩიდან № 18. ტელ. 11—79.

ღრმად დამწუხარებულნი არსენი, აპოლონი, ივანე, მარიამი და ეულია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 3 ოქტომბერს, დილის 12 ს. ქაშვეთის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი დასაფლავებიდან ერთი წლის შესრულების გამო ძვირფას და დაუვიწყარ პირველის მეუღლის და დანარჩენების დედის

ნატალია ბესარიონის ასული კოჩახიძისა

ხსოვნის აღსანიშნავად. (3161—3—2)

გიორგი და მიხეილ ლევანის ძე ქორქაშვილები და მარიამ ლევანის ასული ბოკუჩავასი აცნობებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას 3 ოქტომბერს 10 საათზე ქუთაისში საფიჩხიის ეკლესიაში მათი დაუვიწყარი დედის

აღათია მიხეილის ასული ქორქაშვილის

სულის მოსახსენებლად გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი. (3174—2—2)

გულდამწუხარი დედა პელაგია ქაიხოსროს ასული (ცოლი) ეულია გრიგოლის ასული, შვილები: მიშა, მარუსია და თამარი, ძმა კოლია და ვერიჩკა საყვარელიძეები აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთ და მეგობართ უეცრათ გარდაცვალებას მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

გიორგი (იაგორა) მელქისედეკის ძე საყვარელიძისა

მიცვალებულის გამოსვენება მოხდა რკინის გზის საავათმყოფოდან 1 ოქტომბერს ნაშუადღევის 5 საათზე, დასაფლავება სოფელ დილიკაურში (შორაპნის მაზრა). (3184—1—1)

ღრმათ დამწუხრებული ნინა (ნინუცა) მელქისედეკის ასული ჯაფარიძისა შვილებით გურიკა და მაშოთი აუწყებს ნათესავთა და ნაცნობებს უეცრათ გარდაცვალებას პირველის საყვარელ ძმისას და მეორენის ძვირფასი ბიძისას

გიორგი (იაგორა) მელქისედეკის ძე საყვარელიძისა

მიცვალებულის გამოსვენება მოხდა რკინის გზის საავათმყოფოდან 1 ოქტომბერს ნაშუადღევის 5 საათზე, დასაფლავება სოფელ დილიკაურში (შორაპნის მაზრა). (3184—1—1)

განცხადება

სახელოსნო კოოპერატივის გამგეობა აცხადებს წევრების საყურადღებოთ, რომ 3 ოქტომბერს დილის 11 საათზე სახელოსნო კლუბში დანიშნულია

არაჩვეულებრივი კრება

და თუ ვინიცობაა არ გამოცხადდა საჭირო რიცხვი წევრებისა, განმეორებითი კრება დანიშნულია იმავ შენობაში იმავ დღეს დილის 12 საათზე და ჩაითვლება კანონიერათ და სავალდებულო იქნება წევრებისათვის მათი დადგენილება.

გამგეობა. (3195—1—1)

ქართველ მსახიობთა კავშირის საბჭო ამით აუწყებს თავის წევრებს, რომ თანახმად წესდების § 18, კვირას 3 ოქტომბერს ქართულ დრამის თეატრში შუადღის 12 საათზე შესდგება კავშირის წევრთა

საგანგებო კრება

განსახილველი საგნები:
1. საზოგადო კრების დადგენილების განხილვა.
2. სასურსათო საკითხი.
3. მიმდინარე საქმეები.

(ნ. 2—2)

მუშათა მაღაზიის განცხადება

ყველა დამქირავებელი, მუშა-მოსამსახურენი, რომელთაც იღებენ მუშათა მაღაზიიდან სურსათ-სანოვაგეს, ვალდებულნი არიან

დაუყოვნებლივ და არა უგვიანეს 10 ოქტომბრისა

შემოიტანონ მუშათა მაღაზიაში სამი ათასი (3000) მანეთი თითო მუშა-მოსამსახურეზე, მომარაგების ფონდის დეპოზიტის დასაფარავად. ფული შემოტანილ უნდა იქნას მუშათა მაღაზიის სალაროში (კიროჩნის ქ. ოფიცერთა ყოფ. [illegible] საზოგადოების შენობა მეორე სართული). მუშა-მოსამსახურეთ წინადადება ეძლევათ მიიღონ ზომები ფულის დროზე შემოტანისთვის, რათა შეწყვეტილ არ იქნას მათზე პურის მიცემა.

(ნ. 3—1) მუშათა მაღაზია.

სახელმწიფო თეატრი
(ოპერა)
2 ოქტომბერს
რიგოლეტო

მონაწილეობენ: ბაიარსკაია, იანია, ოვსიანიკოვა, ნეშინი, ხალდავსკაია, ზალევსკი, დრომბოპოლიევი, დემიანენკო, კურბატოვი, ქარხული და ეზროვი.

3 ოქტომბერს აბესალომ და ეთერი. 4 ოქტომბერს დემონი.

ოპერის დირექტორი ს. ი. ევლახიშვილი. (ნ. 1—1)

სახელოსნო კოოპერატივის „რემკოპ"-ის დამაარსებელნი იწვევენ სახელოსნო კლუბის წევრებს კვირას, 3 ოქტომბერს, დილის 11 საათზე კლუბის შენობაში

საზოგადო კრებაზე

დასარჩევი საკითხები: 1) განხილვა საკითხისა კოოპერატივის გახსნის შესახებ, 2) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევნები. თუ დანიშნულ დროზე კრება არ შესდგა,— მეორე კრება მნიშვნელოვან საკითხების გამო შესდგება 1 საათის შემდეგ და კანონიერი იქნება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. (3193—1—1)

მოითხოვეთ ყველგან
გუნებით დაჯილდოვებული საუკეთესო ხარისხის
კონიაკი
გაწმენდილი პურის არაყი და ტკბილი სასმელები
დ. ი. კალანდაძისა
ბითუმად და წვრილათ გაშვება თვით ქარხანაში ვაგზლის ქ. № 5. (2980 - 15 - 10)

ქართული დრამისთვის სასწრაფოდ საჭიროა
თანამშრომელნი
რომელთაც მხოლოდ საღამოობით ექნებათ სამუშაო. მსურველნი უნდა გამოცხადდენ კვირას, 3 ოქტომბერს, დილის 11 საათზე სახელმწიფო დრამის თეატრში (ყოფილი არტისტიული, რუსთაველის პრ. № 21). (ნ. 2—1)

ერობათა კავშირის კომიტეტი
ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ სამშაბათს, 5 ოქტომბერს
საჯარო ვაჭრობით
გაიყიდება დაწუნებული საქონელი, მოთავსებული ერობათა კავშირის კომიტეტის საწყობში (მანთაშევის რიგი). საქონლის წინასწარი გასინჯვა შეიძლება პარასკევს, 1-ლ ოქტომბერს დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. (ნ. 3—3)

ინტერნაციონალის დელეგატთა გაკვეთილები

ევროპის სოციალისტური დელეგაციის სტუმრობა ისეთი ფაქტია, რომელიც უდიდეს გავლენას იქონიებს მომავალში ჩვენი რესპუბლიკის პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობაზე. ინტერნაციონალის ბელადები მუდამ მიგვაჩნდა ჩვენ მასწავლებლებად, და მათი საქართველოში მოსვლისაგან ჩვენ თავიდანვე იმას მოველოდით, რომ ისინი დაწვრილებით გაეცნობიან ჩვენს ცხოვრებას, ყოველმხრივ აწონ-დაწონიან მას, გვიჩვენებენ ჩვენი პოლიტიკური ხაზის დადებითს და უარყოფით მხარეებს, მოგვცემენ რჩევას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გავკურნოთ ჩვენი ნორჩი სახელმწიფო იმ სენისაგან, რომელიც მას საერთაშორისო მდგომარეობის წყალობით აქვს თანდაყოლილი. ჩვენმა მასწავლებლებმა თავისი მისია პირნათლად შეასრულეს: მოიარეს მთელი ჩვენი რესპუბლიკა, ჩაუკვირდნენ მის ცხოვრების ყველა მხარეებს, გაეცნენ ჩვენს საქმიანობას და თავისი გადაწყვეტილი პასუხი მოგვცეს ჩვენი მუშაობის ღირსება-ნაკლულოვანებაზე. ჩვენი პოლიტიკური ხაზი, სახელმწიფოს შენების სისტემა მათ სავსებით მოეწონეს: მათ ერთხმად აღიარეს, რომ ის გეზი, რომელიც ჩვენ გვიძევს შემუშავებული, სოციალისტური პროგრამა-მინიმუმის განხორციელება და პროგრამა-მაქსიმუმისათვის ნიადაგის მომზადება — წარმოადგენს ყველაზე მოკლე გზას სოციალიზმისაკენ.

მაგრამ ამასთანავე ჩვენმა მასწავლებლებმა არ დაიშურეს მწარე სიტყვები ჩვენი ცხოვრების უკუღმართი მხარეების საჩვენებლადაც, მათი კრიტიკა მიმართული იყო უმთავრესად ჩვენ ეკონომიურ მოუწყობლობაზე. ჰუისმანსმა და ტომ შოუმ გამოთხოვებისას მთელი ლექციები წაუკითხეს ნამაღლევის მუშებს იმის შესახებ, თუ რას მოითხოვს მოწინავე მუშებისაგან ჩვენი დღევანდელი ეკონომიური კრიზისი. ჰუისმანსმა მათ მოუყვანა ბელგიელი მუშების მაგალითი და უთხრა, თუ ერთი-ორი წლის დაუღალავი და თავგანწირული შრომით ბელგიელმა მუშებმა როგორ აღადგინეს სრულიად დანგრეული ბელგია და როგორ შექმნეს მათ სრული არარაობიდან მაღალი კულტურა. მარქსისტულად მოაზროვნე ინტერნაციონალის ბელადის სიტყვებიდან აშკარად გამოსჭვიოდა ის აზრი, რომ სიღატაკის და განადგურების პირობებში სოციალიზმზე ლაპარაკი ზედმეტია, რომ სოციალიზმისთვის აუცილებელი პირობაა საზოგადოებაში სიმდიდრის დაგროვება და კულტურული სიმაღლე. ამ მხრივ ჩვენი ქვეყანა, რა თქმა უნდა, ვერ მოახდენდა ევროპიელ სტუმრებზე კარგს შთაბეჭდილებას. საკმარისია გავიხსენოთ ის მრავალ მეტყველი პარალელი, რომელიც გაატარა ჰუისმანსმა ჩვენს ქვეყანას და ბელგიას შორის: იმ დროს, როდესაც ჩვენს პორტში (ფოთში) 2000 კაცი მუშაობს, ბელგიის პორტში—ანტვერპენში მუშაობს 24000 კაცი. „სადაც თქვენა გაქვთ 1 ვერსი რკინის გზა, ჩვენ 1000 ვერსი. ჩვენ გვაქვს განვითარებული ინდუსტრია, თქვენი ინდუსტრია მხოლოდ ჩანასახშია". მაშასადამე, ინდუსტრიის განვითარების გზაზე შედგომა—აი ერთი აუცილებელი პირობა, რომელზედაც მიგვითითეს ჩვენმა მასწავლებლებმა.

მეორე გაკვეთილი შეეხებოდა ამ ინდუსტრიის მოწყობის წესებს. ინტერნაციონალის ბელადებმა სავსებით მოიწონეს ის აზრი, რომ ჩვენი მეურნეობა რაც შეიძლება მეტად საზოგადოებრივ წესზე უნდა შენდებოდეს: მას უნდა ჰქონდეს სახელმწიფო, თვითმართველობა და კოოპერატივი. უცხოეთის კაპიტალის დახმარებაც დაგჭირდებათ, რა თქმა უნდა, გვითხრეს ევროპის სოციალისტებმა. მაგრამ, დაუმატეს მათ [illegible] პირობა, თქვენ უნდა ერიდოთ, რომ ევროპის კაპიტალისტების [illegible] არ გადააქციოთ თქვენი ქვეყანა: „საქართველო დემოკრატიული ქვეყანაა, მაგრამ ამავე დროს აქ კაპიტალიზმი არ არის საკმაოდ განვითარებული. ამან შეიძლება გამოიწვიოს უცხოეთის კაპიტალის გავლენის ადგილობრივ გაძლიერება". „კაპიტალი უნდა მოიზიდოთ, დასძინა ვანდერველდემ, მაგრამ ამავე დროს, მასში არ უნდა გაითქვიფოთ". ასევე გაგვაფრთხილა საფრანგეთის სოციალისტურ პ. წარმომადგენელმა რენოდელმა, რომელმაც გამოთხოვებისას მეტისმეტ მწვავე სიტყვით ილაპარაკა „საფრთხეზე კაპიტალისტების მხრით".

უცხოელებთან ეკონომიური ურთიერთობის განმტკიცებით საუკეთესო გზა გვიჩვენეს ინგლისელმა ამხანაგებმა ტომ შოუმ და რ. მაკდონალდმა. მათ საუკეთესოდ დაინახეს, რომ ეკონომიური დახმარებისათვის ჩვენმა ქვეყანამ მიმართოს ევროპის მუშათა ორგანიზაციებს, უმთავრესად მუშათა მწარმოებელ კოოპერატივებს. „მიმართეთ ევროპის კოოპერატივებს", გვირჩია ამხ. შოუმ, რომ ევროპიელმა ამხანაგებმა იაფ ფასებში შემოგიტანონ თქვენ ყველა საჭირო საგნები და შეიძინონ თქვენი საქონელი". ევროპის მუშათა კლასისადმი მიმართვა ჩვენს ეკონომიურ გასაჭირში დახმარების მისაღებათ—ეს ისეთი ახალი და მრავალი პერსპექტივების აღმძვრელი იდეაა, რომ ამას ჩვენ მთელი ჩვენი ყურადღებით უნდა მოვეპყრათ.

გაჯავრებული „საქართველო"

სპეკულიანტების გაზეთი „საქართველო" არ ცხრება. ის პატრონთან ერთად ახრულების დაგდებას და თავის დამქირავებლების ჩვენი ლანძღვა გინებით უსწორებს ანგარიშს. ის ჩვენთან პოლემიკაში არ ერიდება არც ინსინუაციას, არც აზრების დამახინჯებას და არც ქუჩაში მოგროვილი ჭორების თავის ფურცლებზე გადატანას. ეს არც გვიკვირს, რადგან ასეთია ბუნება საზოგადოდ ყვითელი პრესის, ასეთია ბუნება ფლიდი ბურჟუაზიის და კიდევ უარესი—ფრესკატის სპეკულიანტებისა.

„საქართველო" ამ დღეებში გაცოფებული დევნას აწარმოებს მომარაგების სამინისტროს და მინისტრი ერაძის გადადგომა მოითხოვა. მიზეზი „საქართველოს" საერთოდ უკმაყოფილების ჩვენ ვიცოდით და ეს არა ერთხელ აღგვინიშნავს, მაგრამ მისი ასეთი უეცარი აპოპლექსია მაინც არ იყო ისე ნათელი. გუშინდელ ნომერში გაზეთმა „ნაციონალისტმა" ცოტათი ახადა ფარდა და გაგვაგებინა, რომ ასეთივე კამპანიას აწარმოებდა „საქართველო" მომარაგების სამართველოს წინააღმდეგ ბ. ქარცივაძის დროს და ბოლოს აღმოჩნდა რომ ქარცივაძის გადადგომას მოჰყვა ზერიძის „კომ თეზ" კომბინაცია. დღესაც, ალბათ, იმიტომ უნდათ ერაძის მაგიერ სხვა მინისტრის დაყენება, რომ რაიმე ახალი „კომბინაციის" ხელშეკრულება აქვთ ნახათ ჯიბეში." (№ 1)

ვეშაპელმა ხომ კარგათ იცის მისი ყოფილი ამხანაგის ყველა გარეგანი „კომბინაციები"; ამიტომ ამ შემთხვევაში ის უეჭველია მართალს ამბობს და აი „ამ ახალი „კომბინაციის" ხელშეკრულებას", რომელიც „ჯიბეში მზათ აქვთ", გაზეთი „საქართველო" რესპუბლიკის ინტერესების სამოსელში ხვევს" და მისი განადგურებისათვის ფეხებზე შემდგარი დღისით-ღამით ყეფს. ან კი რა ქნას! ხომ გახსოვთ აკაკის ლექსი:

„ქუცი ქუცი მურია
ნეტა საცაურია,
ვინც გადუგდებს ლუკმა პურს
მისი მონაურია.
ქუცი, ქუცი მურია..."

„საქართველო" არც ჩვენი აზრების გადამახინჯებას ერიდება. ჩვენ ვწერდით ზოგიერთი დიპლომების ღირებულებაზე და ეს გამოიწვია „საქართველოს" გალაშქრებამ ჩვენი მუშათა კლასის წინააღმდეგ, რომელიც, სხვათა შორის, იმიტომაც არ მოსწონს, რომ მათ დიპლომები არ უწყვიათ ჯიბეში. „საქართველომ" ჩვეული სიყალბით ჩვენ მიგვაწერა: განა და „ერთობა" დიპლომების, მეცნიერების და სპეციალისტების წინააღმდეგია და ასეთი პირების აუცილებლობაზე იაფ-ფასიან ლექციას გვიკითხავს. ჩვენ, რასაკვირველია, არაფერი ამის მსგავსი არ გვითქვამს და არც შეგვეძლო გვეთქვა, რადგან მეცნიერებას, საერთოდ სწავლა-განათლებას, ჩვენ უდიდეს ყურადღებას ვაქცევთ. ჩვენ ვსწერდით მხოლოდ ზოგიერთი დიპლომების ღირებულებაზე, და ასეთი დიპლომების მფარველობა და ხოტბა „საქართველოსთვის" დაგვილოცნია.

„საქართველო" გვეკითხება: გახსოვთ თუ არა თქვენი ძველი ლოზუნგი: ძმობა, ერთობა, თანასწორობა და თუ გახსოვთ, რა უფლებით აქვს პრივილეგიები კაჩეგართა კლასს, როცა ის საქართველოს მცხოვრებთა 15 პროცენტ. არ შეადგენსო.

მუშათა კლასს, რომელსაც „საქართველო" „კაჩეგართა კლასს" ეძახის, რასაკვირველია არავითარი პრივილეგია არ აქვს. პირიქით, მისი პრივილეგია, სამწუხაროთ, ჯერ კიდევ დღით და ღამით მუშაობაში გამოიხატება და ეს მაშინ, როცა „საქართველოს" დამქირავებელნი ასე იოლად ისაკუთრებენ მათი შრომის ნაყოფს, თუ სულ არა, მსუქან ნაწილს მაინც. „საქართველომ" იმიტომ შეთხზა მუშათა კლასის პრივილეგიები, რომ მათ წინააღმდეგ ვინმე-ვინმეები აამხედროს. მაგრამ, ასეთი პროვოკაციით, რასაკვირველია, ის მიზანს ვერ მიაღწევს.

„საქართველოს" თურმე ისიც არ სცოდნია თუ რას ნიშნავს ჩვენი ლოზუნგი: ძმობა, ერთობა, თანასწორობა. მას გონებია რომ ძმობა-ერთობა-თანასწორობის მონაწილე ისინიც იქნებოდენ! თუ თქვენ გნებავთ, ბატონებო, თანასწორობა, რატომ არ გახსნით თქვენს სკივრებს და შიგ მიმალულ სიმდიდრეს ხალხის კუთვნილებათ არ გამოაცხადებთ?! მაგრამ თქვენ ამას ვერ იზამთ რასაკვირველია და არც ჩვენ გვიფიქრია ეს ოდესმე. თქვენი „თანასწორობა" ნიშნავს: რაც მაქვს ჩემია, რაც შენ გაქვს ისიც ჩემია, ანდა მონაწილე მაინც ვარ! ასეთი ლოზუნგი ჩვენ არ გვქონია [illegible] გვექნება და არც გვინდა [illegible] ესაა თქვენი ლოზუნგი და [illegible] უფლის ტა-[illegible] სწორედ ამ ლოზუნგის [illegible] ეს კი არც ისე შორსაა.

...ხებზ, 6) პარტიული კასის...
...ევროპის სოც...
...საკითხებ...
...სე მიმოხილ...
...ავმჯდომარე

ევროპის სოციალისტური დელეგაცია საქართველოში

იმერეთში

სამტრედია. 26 სექტემბერი. საგანგებო მატარებელი დილა ადრიან მივიდა სამტრედიაში, საიდანაც შემდეგ მთელი დღის განმავლობაში უნდა მოევლო სამეგრელო. დელეგაციას ხალხი შეხვდა სადგურზე, საიდანაც სტუმრებთან ერთად მთელი ხალხი წავიდა რკინის გზის სახალხო სახლში, რომელიც საგანგებოთ იყო მორთული და მიტინგიც აქ დაენიშნათ. სწორეთ 7 ს. 40 წუთზე მიტინგი გახსნა ამხ. დ. მიქელაძემ, რის შემდეგ მისასალმებელ სიტყვას ამბობს დამფ. კრ. წევრი ილ. კოპალეიშვილი.

ჰუისმანსის სიტყვა.

პირველად საპასუხო სიტყვას იღებს ჰუისმანსი, რომელიც ამბობს: „ჩვენ მოსვლას საქართველოში ჰქონდა ორი მიზეზი. ერთი ის, რომ ევროპა ჯერ საკმაოთ არ იცნობს თქვენს ბრძოლას და ჩვენი მიზანი იყო გავცნობოდით დაახლოვებით ადგილობრივ პირობებს, რომ ჩვენი მხრით შემდეგ ევროპას გავაცნოთ საქართველოს თავდადებული ბრძოლა თავისუფლებისათვის, მაგრამ არის მეორე კითხვა, კითხვა მეტად რთული და სერიოზული, რომელზედაც დამყარებულია საქართველოს ბედი და რომლის გაცნობა ჩვენთვის სავალდებულო იყო. ეს არის ეკონომიური მდგომარეობა. და ამ ორი მიზეზის გამო გასაცნობათ მოვედით და თქვენ იცით ამხანაგებო, თუ რამდენათ საჭიროებს საქართველო დახმარებას, განსაკუთრებით უკანასკნელ ეკონომიურ დარგში. ჩვენ აქ გავეცანით თქვენს დაწესებულებებს, მოვიარეთ სხვა და სხვა კუთხეები და გულახდილათ გეტყვით, რომ თქვენ მეტად მტკიცეთ ხართ. თქვენ გყავთ მთავრობა, რომელიც დინჯათ, თანდათანობით იბრძვის მოპოვებულის განსამტკიცებლათ და ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას ჩვენს თავზე ევროპაში მისვლისას ძალა დავატანოთ ჩვენს მთავრობებს, რათა საქართველოს მისცენ საშვალება განვითარებისა, როგორის ღირსიც არის ეს თავისუფალი ქვეყანა. მაგრამ თუ ასეთია სიმტკიცე თქვენი საშინაო პირობებისა, სამაგიეროთ ეს არ არის საგარეო პირობებში. თქვენ ორ ძლიერ სახელმწიფოთა შორის ხართ და ამ მხრითაც დიდ გასაჭირში იმყოფებით. ერთია ოსმალეთი და მეორე ბოლშევიკური რუსეთი. ოსმალეთი დღეს დღეობით მაინც ნახევრად მკვდარია. ხოლო რუსეთს, შეუძლია მოიმოქმედოს იგივე, რაც აზერბეიჯანში. ამ მხრითაც დელეგაცია ევროპაში გადასდგამს გადამჭრელ ნაბიჯებს. ჩვენ იქ ევროპაში უნდა დავარწმუნოთ მუშები, რომ საქართველოს ჯერ კიდევ არ აშორებია რუსეთის საშიშროება, რომ რუსეთს შეუძლია თავისუფლება წაართვას პატარა საქართველოს, რომელმაც თავის საშინელ პირობებში გამოსჭედა თავისი ბედი და ეხლა უნდა დამოუკიდებელი ცხოვრება. და როდესაც რუსეთის ბოლშევიზმი დაიწყებს მტკიცებას თავის დაპყრობითი ნაბიჯების სისწორისა ევროპის მუშათა წინაშე, მაშინ ჩვენ მთელი ჩვენი ენერგიით შევებრძოლებით ამას. ასეთ გაჭირვების დროს, ამხანაგო მუშებო, იცოდეთ მეგობრათ ევროპის მუშათა კლასი ჩვენი დახმარება არ იქნება უბრალო სიტყვა და დაპირება. როცა პოლონეთსა და რუსეთს შორის ომი დაიწყო, მაშინ ანტანტას სურდა სურსათით დახმარებოდა პოლონეთს, მაგრამ ინგლისის მუშებმა და მათთან ყველამ დაადგინეს: არც ერთი ზარბაზანი არ შეიძლება წაიღოთ ომისათვის. და ჩვენც, პატარა ბელგიის მუშათა კლასმა, მოვსთხოვეთ მთავრობას არ გაეტარებინათ ჩვენს ტერიტორიაზე პოლონეთისათვის იარაღი და როცა ძალა დაატანეს, ამან გამოიწვია გარეშე საქმეთა მინისტრის გადადგომა, რომელიც მომხრე იყო პოლონეთის დახმარების. და როცა ასე მოექცევიან საქართველოს, როცა გადაყლაპვას მოუნდომებს თქვენს ქვეყანას იმპერიალიზმი, მაშინ ჩვენ ვიბრძოლებთ თქვენს დასახმარებლათ ყოველი საშუალებით, ვინაიდან ჩვენ გვწამს საქართველოს დამოუკიდებლობა (ხანგრძლივი ტაში). მე-

დღეს

ლონდონიდან მიღებული ცნობებით საბჭოთა რუსეთი თანახმაა მიიღოს პოლონელების მიერ წარმოდგენილი ყველა პირობა, გარდა წითელი არმიის განიარაღებისა.

ბოლშევიკების ცნობით პოლონეთი, მიუხედავად ზავის მოლაპარაკებისა, შეტევას განაგრძობს და ქალაქებს—ქალაქებზე იკავებს.

საბჭოთა რუსეთის დელეგაციის მიერ პოლონეთისათვის წარდგენილ საზავო პირობებში წინდახედულია დამოუკიდებლობა და სუვერენობა ბელორუსიისა, ლიტვისა და უკრაინის რესპუბლიკების. აღიარებულია პოლონეთის დამოუკიდებლობაც.

ბოლშევიკების ცნობით ხმელთა შუა ზღვაში მყოფმა საფრანგ. ფლოტმა ბრძანება მიიღო მზათ იყოს შავ ზღვაში შესასვლელად. ბოლშევიკების აზრით მათ ოდესის დაკავება აქვთ განზრახული.

ვრანგელი შეტევას განაგრძობს. მან აიღო ქ. მარიუპოლი.

ვრანგელს პარიზში განუცხადებია, რომ ის მიმდინარე წელში მოსკოვის წინაამდეგ არ გაილაშქრებს.

მინდა ამავე დროს რამოდენიმე სიტყვა ვსთქვა ინტერნაციონალზე. ის დღეს უკვე აღდგენილია. საქმე იმაში არ არის, რომ ამბობენ მოსკოვის, ჟენევის, ან ლონდონის ინტერნაციონალზე, არამედ იმაშია, რომ ყველა ისინი ვინც დარჩით მეცნიერული სოციალიზმის საფუძველზე, ჩვენ ნაცად ძველ გზაზე, შეადგენთ და აღადგენთ ინტერნაციონალს. ხოლო ერთი ნაწილი მუშებისა, რომელნიც ომმა დაქსაქსა და დღეს ნგრევა-განადგურებას მიმართავენ, რასაც დღემდე ბურჟუაზია მიმართავდა ძალადატანების სახით, ეს არის გარდამავალი ხანა, რომელსაც ბოლოს მოუღებს თვით ორგანიზაციულათ შეკავშირებული, დარაზმული მუშათა კლასი.

ჩვენში დაგროვილია სიმდიდრე, გვაქვს ფაბრიკები, ინდუსტრია უმწვერვალესად განვითარებულია, მაგრამ ის ბურჟუაზიის ხელშია, თქვენ კი არ გაქვთ ფაბრიკები, მაგრამ გყავთ თქვენი მთავრობა, რომელმაც უნდა შექმნას სიმდიდრე. ამგვარათ, საქართველოს მუშათა კლასმა იმავე ენერგიით, იმავე გატაცებით და შეგნებით, თვით უნდა მოკიდოს ხელი ქვეყნის სიმდიდრის შექმნას, მან ძლიერი იერიში უნდა მიიტანოს ამ ყველაზე უფრო ძნელ ფრონტზე და ასე თქვენ უნდა იბრძოლოთ. სიმდიდრის დასაგროვებლათ, ხოლო ჩვენ ამ სიმდიდრის მუშათა კლასის ხელში გადასასვლელათ. და ამ ორი გზით ერთი მიზნისკენ, ჩვენ შევხვდებით ერთმანეთს.

ჩვენ უკვე მოვიარეთ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეები და მაკვირვებს ქართველი ხალხის სიხარულით და მომღიმარი იმედით სავსე სახე. და როცა გიცქერით თქვენ ყველას, გაშლილი წითელი დროშების ქვეშ და მესმის ეს იმედის მომქმედი სიმღერათა გუგუნი, მე მაგონდება ერთი ზღაპარი: იყო დილა, მზე ამოდიოდა და მის მოლოდინში სამი არსება — ხე, კოშკი და მთა დაობდნენ. ხე ამბობდა: მზე ჩემთვის ამოდის, ჩემს ტოტებზე სხედან ბულბულები და უგალობენ მის ამოსვლასო. კოშკი ამბობდა—მე მაღალი ვარ, მე ამაყი ვარ, მე უძლეველი დარაჯი მყავს და მზის სხივებიც მხოლოდ ჩემს კედლებს მოხვდება, ის ჩემთვის ამოდისო, ხოლო მთამ სთქვა: თქვენ რას დაობთ, ჩემი მწვერვალი მაღალია, ის ღრუბლებს წვდება და მზეც მხოლოდ ჩემ საამურ ფერდობებს მოეხვევაო. ამ დროს მზეც ამოვიდა და მისმა სხივებმა გაანათა ყველა ერთნაირათ: ხეც, კოშკიც და მთაც გააბრწყინა მისმა სინათლემ. და სოციალიზმიც ასე ამობრწყინდება, ის ერთნაირათ განაათებს ყველას, მაშინ [illegible] მუშა და უმუშევარი, მაშინ [illegible] მდიდარი და ღარიბი, მაშინ [illegible] სანეტარო სამეფო, [illegible], ერთობა, თანა[illegible]დრდება. (ხანგრძლივი [illegible]ბი).

[illegible]ის სიტყვა.

[illegible] ლაპარაკობს „მარკე“, რომე[illegible] შორის ამბობს: „თქვენ [illegible] მშვიდობიან პირობებში ხართ და მთელი თქვენი ძალღონე და ენერგია უნდა მოახმაროთ ეკონომიური ცხოვრების გამაგრებას. თუ გინდათ შეინარჩუნოთ თავისუფლება, თუ გინდათ არ დაიდგათ მონობის უღელი, სოფლად თუ ქალაქად, მუშამ, სოფლის მეურნემ, თუ ინდუსტრიის პატრონმა განუწყვეტლივ უნდა იმუშაოთ, რომ შექმნათ სასურველი ეკონომიური პირობები. ყველაზე ძნელი ფრონტი, ყველაზე უსასტიკესი, რომელიც კი გინახავთ თქვენ დღემდი, ეს არის ეკონომიური ცხოვრების ფრონტი და მთელი თქვენი ძალღონით უნდა შესძლოთ იმის დაძლევა, შრომით გამარჯვება, რომ მოპოვებული გამარჯვებანიც შეინარჩუნოთ“.

სტუმრებს მუშები ოვაციებს უმართავენ და სადგურამდე აცილებენ, საიდანაც ინტერნაციონალის ხმებში და საერთო აღტაცებაში მატარებელი მიდის სამეგრელოსკენ.

სამეგრელოში.

აბაშა. სექტემბრის 26. სრულ ათ საათზე საგანგებო მატარებელი აბაშის სადგურზე გაჩერდა, სადაც დიდძალი ხალხი მოგროვილიყო. სადგური იშვიათად არის მორთული, ბაქანზე სდგანან წარმომადგენლები პოლიტიკურ პარტიებისა და დემოკრატიულ ორგანიზაციებისა. სადგურს უკან გამწკრივებულია სახალხო გვარდიელები და ზღვა ხალხი საგანგებოთ მორთულ ტრიბუნასთან უცდის ძვირფას სტუმრებს. საერთო ტაშით და ოვაციებით აცილებენ სადგურიდან ტრიბუნამდე დელეგაციის წევრებს, სადაც ყველა რევოლიუციონურ და დემოკრატიულ ორგანიზაციების სახელით სიტყვას ამბობს ამხ. ბარნაბა ძველაია. საპასუხო სიტყვებს ამბობენ მარკე და სნოუდენი. მათი სიტყვები ხალხში იწვევს დიდ აღტაცებას და სტუმრებს ხანგრძლივი ტაშით აჯილდოვებენ. ამ დროს სიტყვას ითხოვს სოც.-რევოლიუციონერთა წარმომადგენელი **ბესარიონ დუნდუა**, ის ესალმება სტუმრებს და აკრიტიკებს მენშევიკების მოქმედებას. „აქ ამბობენ—სთქვა მან— რომ მიწა მიიღო გლეხმა, რომ ის თავისუფალია, ეს სიმართლე არ არის, გლეხს არ მიუღია მიწა, გლეხი ეწინააღმდეგება იმ კანონს, რომელიც მისცა ქვეყანას მენშევიკურმა მთავრობამო“. დუნდუას სიტყვა ხალხში დიდ უკმაყოფილებას იწვევს, ისმის პროტესტის ხმები. საპასუხო სიტყვას იღებს ჰიუსმანსი.

ჰიუსმანსის სიტყვა.

„მე დიდ მადლობას ვუძღვნი იმ ამხანაგს, რომელიც აქ გამოვიდა სოციალისტ-რევოლიუციონერთა სახელით, მე აქ არ მინდოდა სიტყვის აღება, მარა მან მაიძულა ვსთქვა ორიოდე სიტყვა. ის განსხვავება, რომელიც აქ არსებობს სოციალისტურ პარტიებს შორის, არ აძლევს მათ უფლებას იყოლიონ ცალკე ორგანიზაციები. მით უმეტეს ეს ითქმის სოც. რევოლიუციონერებზე, რომელთაც მხოლოდ ძველი ტრადიცია დარჩენიათ და ამაზე ემყარებიან. ბელგიაშიაც არის აზრთა სხვადასხვაობა, მარა ყველა სოციალისტები გაერთიანებულია ერთ პარტიაში, მე არ მინდა აქ პასუხი გავცე არსებითად იმ კრიტიკაზე, რომელიც სოც. რევ. წარმომადგენელმა გაუკეთა მიწის რეფორმას. ეს მით უმეტეს ყველა თქვენთვის ვინც იცნობთ ამ კანონებს და დანახული გაქვთ მისი ცხოვრებაში გატარება, საჭირო არ არის. მე მინდა მხოლოდ უთხრა მას, რომ საქართველოს დამფუძნებელი კრება არჩეულია ქვეყანაზე უკეთეს საარჩევნო უფლებით და როგორც მე მითხრეს აქ 80 პროც. აქაური ხალხისას შეადგენენ მიწის მუშები და როცა ადგენს ამ ხალხის წარმომადგენლობა დამფუძნებელი კრება ასეთ კანონებს, ჩვენთვის ის წმინდათა წმინდაა, ეს თვით ხალხის ნებისყოფა და სურვილია. მე სრულიად არ მაშინებს აზრთა სხვადასხვაობა, ვინაიდან აქედან იბადება ჭეშმარიტება, მარა არავის უფლება არ აქვს ამ საერთო გაჭირვების დროს განზე გადგეს და მე თქვენთან ერთად მინდა მივესალმო იმ დამფუძნებელ კრებას და მის მთავრობას, რომელიც ხალხის დიდ უმრავლესობას ეყრდნობა. ჩვენ არ გვინდა არც მეფე და არც ლენინი, რომელნიც ეყრდნობიან უმცირესობას და ხიშტით მართავენ ქვეყანას. გაუმარჯოს ყველა ჭეშმარიტ სოციალისტების შეერთებას, გაუმარჯოს რესპუბლიკის ხსნას, რომელიც ყველა ჩვენთვის ძვირფასია. და საერთაშორისო დემოკრატიისთვის დიდს ნიშნავს. (ხანგრძლივი ტაში და ოვაციები).

მიტინგი იხურება. დროშებით დარაზმული ხალხი სიმღერებით ნელ-ნელა იშლება ტრიბუნიდან, ხოლო ამავე დროს სადგურის ბაქანი და მატარებლის ორივე მხარე რკალათ შემორტყმულია, რომ გაცილონ უცხოელი ამხანაგები, უკანასკნელი სალამი უძღვნან მათ. ადგილობრივმა ორგანიზაციებმა სტუმრები საგანგებოთ მორთულ კარავში ჩაიზე მიიპატიჟეს, რის შემდეგ ხალხი ოვაციებით აცილებს დელეგაციას. მატარებელი სენაკისკენ მიდის, სადაც დელეგაციას დილიდანვე უცდიდა ხალხი.

სენაკში.

11 საათზე და 45 წ. მატარებელი უკვე სენაკში იყო. დელეგაციას სადგურზე ესალმება ქალაქის თავი ამხ. გეგენავა, რის შემდეგ ყველა ადგილობრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების თანხლებით სტუმრები მიდიან სადგურის ახლოს გამართულ ესტრადაზე, სადაც თავმოყრილია ყველა მცხოვრებლები და მათ ამშვენებს მოფრიალე დროშები. აქვე არიან ცხენოსანი გვარდიელები და ყველა ვისაც კი შეეძლო მისვლა იშვიათ დღესასწაულზე, მიტინგს ხსნის ამხ. ან. აჭყაფარიძე, რის შემდეგ სამაზრო სოც. დემოკრ. კომიტეტის დავალებით მისასალმებელ სიტყვას ამბობს ამხ. რაჟ. გასხურდია. დელეგაციის სახელით აქ სიტყვას ამბობს ამხ. ჰიუსმანსი, რომელსაც ხალხი ოვაციებს უმართავს. მიტინგის დასრულებისას პროცესია დაიძრა ერობისკენ, სადაც დელეგაციამ გაიცნო სამაზრო ერობის მუშაობა. აქ გიორგი მელნარიძე ერობის მოღვაწეთა სახელით ესალმება სტუმრებს, რომელსაც უპასუხებს ჰიუსმანსი, ერობაში დელეგაცია თითქმის ერთი საათი დარჩა და გულდასმით გაეცნო მუშაობას. დელეგაციის წევრებმა მოისურვეს ზოგი სტატისტიკური ცნობების თან წაღება. ერობიდან დელეგაცია მივიდა ქალაქის საბჭოში, სადაც თვითმმართველობის სახელით მიესალმა პეტრე ქვათარაძე. ქალაქის საბჭომ დელეგაციის პატივსაცემლათ განახლების ქუჩას უწოდა ინტერნაციონალის ქუჩა და ქალთა და ვაჟთა გიმნაზიებში დაუნიშნა ღარიბ მოწაფეებს ორი სტიპენდია.

აქედან დელეგაცია წავიდა სახალხო სახლის ასაშენებლათ გამოზადებულ ადგილზე, სადაც ჰიუსმანსმა, სნოუდენმა და მარკემ მონაწილეობა მიიღეს სახალხო სახლის საძირკვლის ჩაყრაში. სენაკის ერობამ და ქალაქის საბჭომ დელეგაცია სადილათ მიიპატიჟა, შემდეგ სტუმრები საერთო ოვაციებით გააცილეს ფოთისკენ.

ფოთში

საღამოს 5 საათზე საგანგებო მატარებელი ფოთში იყო. კოკისპირული წვიმა დაუშვა. მიუხედავათ ამისა სადგურიდან დაწყებული ქალაქის ბაღამდე დიდძალი ხალხია ქუჩებში. პროფ. კავშირები და სხვადასხვა ორგანიზაციები დროშებით მიეჩქარებიან დაუმთავრებელ ტაძრისაკენ, სადაც დანიშნულია დიდი მიტინგი. დელეგაცია სადგურიდან შინ. საქმეთა მინისტრის ნ. რამიშვილის და ალ. ლომთათიძის თანხლებით გაემართა ს. დ. პარტიის ფოთის კომიტეტის ბინაზე, სადაც სტუმრებს მიესალმა ამხ. სამსონაძე მან სხვათა შორის სთქვა: „დღეს, ჩვენს ჭერს ქვეშ ვხედავთ ჩვენს მასწავლებელთ და სოციალისტური ევროპის საუკეთესო წარმომადგენელთ. ევროპაში პირველათ უნდა ჩამოკრას სოციალიზმის ზარმა და აქედან მისი ცხოველმყოფელი სხივები ჩვენც უნდა მოგვეფინოს. თვით ის ფაქტი, ძვირფ. ამხანაგებო, რომ თქვენ დღეს აქ გხედავთ და პასპორტებს ვერავინ გიკავებთ, იმის უტყუარი საბუთია, რომ დადგა ახალი ხანა და შორს აღარ არის სანეტარო დღე. ჩვენ გვწამს, რომ დიდი და ძნელი საკითხი ევროპის პროლეტარიატის გაერთიანებისა ბოლოსდაბოლოს დადებითად გადაიჭრება, მთელი მუშათა კლასი ერთ უტყუარ იარაღს აიღებს ხელში, გაუდგება სწორი გზით სოციალიზმისაკენ, აწარმოებს მედგარ ბრძოლას კაპიტალიზმის წინაალმდეგ, დაამხობს მას და ამ ბრძოლაში სწორ გზაზე უკვე შემდგარი საქართველოს პროლეტარიატი და დემოკრატიაც თავის ადგილს დაიჭერს“.

აქედან დელეგაცია წავიდა მიტინგზე. ფოთის დაუმთავრებელ ტაძრის მრისხანე სვეტებს ქვეშ სდგას ზღვა ხალხი. უკვე ღამდება და ამ ნახევრათ ბნელ ტაძარში, რომლის კედლები ყოველ ხმაზე თავის გამოძახილის გუგუნით ატკბობს მსმენელთ, რაღაც სიმბოლიურ მნიშვნელობას აძლევს მიტინგს და როგორც ჰიუსმანსმა სთქვა, უფრო ზრდის და ასალკლდევებს იმ უტყუარ ჭეშმარიტებას, რომელსაც ემსახურება სოციალიზმი. მან მოიგონა 1912 წელს გამართული ბაზელის კონგრესი, როცა იქ ტაძარში შეიკრიბენ საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის წარმომადგენლები და ბაზელის ძველი ტაძრის მრისხანე ზარები მოუხმობდენ ყველა ჩაგრულთ და შეურაცყოფილთ წითელი დროშის ქვეშ თავმოსაყრელათ. სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე სნოუდენმა და მარკემ. ყოველი ორატორის სიტყვებს ფარავდა ხანგრძლივი ტაში. მიტინგის შემდეგ დელეგაციამ დაათვალიერა ელევატორები და ნავთსადგური. მიუხედავათ იმისა, რომ განუწყვეტლივ წვიმდა, ხალხი მაინც არ იშლებოდა და სტუმრებს ყველგან აღფრთოვანებული ხვდებოდენ.

ღამის 12 საათზე დელეგაცია სამტრედიისაკენ გამოემგზავრა, საიდანაც მეორე დღეს გურიაში წავიდა.

კარლ კაუცკის ჩამოსვლა

ხაშურში.

მატარებელი, რომელსაც მოჰყავდა კარლ კაუცკი, შემოვიდა 12 საათ. და 30 წ. შეკრებილი მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც მოუთმენლათ ელოდენ კარლ კაუცკის დანახვას, თავიანთ წითელი დროშებით დახვდენ სადგურზე. კაუცკი დაუსრულებელი ოვაციებით იქმნა დაჯილდოვებული. პირველი სიტყვა წარმოსთქვა ამხანაგ ვლასა მგელაძემ: „ამხანაგებო, მუშებო! ასრულდა ის, რაც შეადგენდა თქვენთვის მხოლოდ ოცნებას. და აი გამომხატველი მშრომელი პროლეტარიატის აზროვნებისა თქვენს წინ სდგას,—სპეტაკი მებრძოლი მებაირახტრე, ჩვენი საყვარელი მასწავლებელი კარლ კაუცკი, რომელმაც თავისი ცხოვრება შესწირა პროლეტარიატის კეთილ-დღეობას. და თუ თქვენ მასწავლებლის სურათი გინახავს—ეხლა ბედნიერი ხართ, ამხანაგებო, მით, რომ თქვენს წინ სდგას თვისი სიდიადით მოხუცი, ვაშა კარლ კაუცკის! სალამი საერთაშორისო პროლეტარიატის გენიოსს. შემდეგ ლაპარაკობს კარლ კაუცკი და ის ამბობს: ამხანაგებო, თუ ნებას მომცემთ, გიწოდოთ—შვილებო და შვილის შვილებო! ბედნიერათ ვრაცხ თავს, რომ მე ვარ თქვენთან, მარქსის მოძღვრების საუკეთესო გამომხატველებს შორის. ის ზეიმი, რომელიც მომიძღვნა ქართველმა დემოკრატიამ, მარწმუნებს, რომ მტკიცეთ იცავთ რევოლიუციით მონაპოვარს მე უკვე ვიცნობდი თქვენს ბელადებს, ევროპაში, პატივს ვცემდი მათს ნიჭს და თავდადებას, მათთან ერთად თქვენ მოგეცათ საშუალება სინამდვილეში განახორციელოთ თქვენი მისწრაფებანი. რუსეთის ბოლშევიზმს აქვს ერთი დადებითი მხარე,—ეს არის სიმტკიცე. ვუსურვებდი ქართველ დემოკრატიას კიდევ მიმატებოდეს ეს სიმტკიცე, მაშინ ბედნიერია ერი და ბედნიერი ვარ მეც, მოხუცი. ვაშა ქართველ დემოკრატიას!! დაუსრულებელი ტაში, ოვაციები. შემდეგ ლაპარაკობს მუშების წარმომადგენელი ამხ. ი. თელია: ამხანაგებო მუშებო, 23 ამ თვეს ჩვენ ვიხილეთ და ახლოს გავეცანით ევროპის პროლეტარიატის საუკეთესო წარმომადგენლებს, მაგრამ ბედნიერი ვართ დღეს, როდესაც ჩვენს თვალს წინ დგას მთელი ქვეყნის პროლეტარიატის გულის მესაიდუმლე და „მამათმთავარი—კარლ კაუცკი. მან პირველმა კარლ მარქსის მოვლინების შემდეგ აღორძინა და პრაქტიკულად განამტკიცა მისი მეცნიერული სოციალიზმი და მედგრათ ჩაუდგა სათავეშა გაყვლეფილთა ინტერესების დაცვას. მაშ, გაუმარჯოს ჩვენს მამათმთავარს, კარლ კაუცკის, საუკეთესო დამცველს მშრომელთა ინტერესებისას, ვუსურვოთ მას ხანგრძლივი სიცოცხლე ჩაგრულთა საკეთილდღეოთ. შემდეგ ლაპარაკობს ამხ. ვალიკო ჯუღელი. ამხანაგებო მუშებო! ბედნიერია ერი, რომელმაც საუკეთესო მოიმკო მამამთავართა ნაანდერძევი, ბედნიერია ერი, რომელმაც დაუფასა მასწავლებელს თავისი ამაგი. და აი თქვენს წინაშე სიამაყით სდგას საყვარელი კარლ მარქსის თანამშრომელი, რომელიც განიცდის თქვენთან მისდამი მიძღვნილ ზეიმით საუკეთესოთ წუთებს თავისი სიცოცხლისას. ბედნიერია მასწავლებელი, რომელიც თავის თვალით ხედავს მისი აზრებით გამსჭვალულს მებრძოლ პროლეტარიატს, კარლ კაუცკი არის საუკეთესო წარმომადგენელი პროლეტარიატისა და მისი მედგარი დამცველი, იგი დაუფასებელი მეჭირნახულეა მშრომელთა კლასისა. აი, ამხანაგებო, შეხედეთ ამ დიდებულ ადამიანის გარეგნულ უბრალოებას. ჩვენც გვაერთებს მისი შეთვისება. ამხანაგებო! ნურავისთვის ნუ იქნება საწყენი, თუ მან ჩვენი შეცდომისთვის ყურები აგვიწიოს. ჩვენცა გვაქვს შეცდომები. სალამი ძვირფას სტუმარს! დაუსრულებელი ტაში. მუსიკა ასრულებს ინტერნაციონალს. მატარებელი ნელ-ნელა ცილდება სადგურს. კარლ კაუცკი თვალის მიწვდომამდის აძლევს სალამს მუშებს თეთრი ხელსახოცის ქნევით.

ი. თელია.

კაუცკის ჩამოსვლა.

თფილისის სადგურზე დახვედრა.

6 საათისათვის, მიუხედავათ იმისა, რომ კაუცკის ჩამოსვლის საათი ბევრმა არ იცოდა, სადგურზე კარგა ბლომათ ხალხი შეიკრიბა.

აქ იყვნენ ნ. ჟორდანია, სილიბისტრო ჯიბლაძე, ნ. რამიშვილი, ალ. ლომთათიძე, კ. საბახტარიშვილი, დამფუძნებელი კრების და გვარდიის შტაბის წევრები, პროფესიონალურ კავშირთა და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენელნი.

სრულ 6 საათზე მოვიდა მატარებელი. ყველა გაფაციცებით მისჩერებია ვაგონების ფანჯრებს. აი, გაჩერდა მატარებელი და სულ უკანასკნელ ვაგონის კიბესთან მოსჩანს მთლად გათეთრებული, პატარა ტანის მოხუცი. მატარებლიდან ის ნ. ჟორდანიამ ჩამოიყვანა. მისალმენ ერთმანეთს და გადაეხვივნენ. ხანგრძლივი ტაში. კაუცკი დამსწრეთ ქართულათ მიესალმა „გაუმარჯოს“. ყველანი ტაშის კვრით აცილებენ კ. კაუცკის და იმის მეუღლეს, რომლებმაც ნ. ჟორდანიასთან ერთად გაემგზავრენ ავტომობილით საგანგებოთ მომზადებულ ბინაზე.

სადგურის უკან მოედანზე მრავალი შეგროვილია ხალხი „ვაშა“ ძახილით და ტაშის კვრით ეგებებოდნენ კაუცკის.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბოლშევიკური)

დათვი ჯერ არ არის მკვდარი.

პოლონეთის შლიახტა მიუხედავათ ჩვენი საზავო წინადადებისა და მოლაპარაკებისა განაგრძობს შეტევას ჩვენ წინააღმდეგ. პოლონეთს თან მოჰყვებიან ბანკირები, რომლებიც ემზადებიან დათვის ტყავის გასაყოფად. მაგრამ დათვი ჯერ არ არის მკვდარი „მოითმინეთ“ ყოველ მხრიდან მოდიან ჩვენი ძმების დახმარებისათვის. ქალაქებში და სოფლებში გაცხოველდა მუშაობა.

„დაეხმარეთ დასავლეთის ფრონტს“ გაისმის ძახილი, თუ ბანკირების სამ მეოთხედის წინააღმდეგ ელიმარჯება კლდეთ პატიოსან მუშებისა და გლეხების სამი მეოთხედი, მაშინ ვერავითარი ბურჟუაზიული ბანდა ვერ გაუმკლავდება მუშათა კლასს.

მუშები და სპეკულიაცია.

არსკი „იზვესტიაში“ სწერს: პროფ. კავშირების ახალი ამოცანას სპეკულიაციასთან ბრძოლა შეადგენს. სპეკულიაცია მეტად გადამდებია. ახლა იგი გადავიდა მუშებში, ყოველ შემთხვევაში მუშების ერთ კატეგორიაში, პირველ რიგში სპეკულიაციას აწარმოებენ გემზე მომუშავენი, შემდეგ რკინის გზელები, ფრონტის მოსამსახურენი, და დასასრულ სახალხო მეურნეობაში მომუშავენი დანარჩენი მუშები. სპეკულიაციას ორგვარი ხასიათი აქვს. ერთ ჯგუფს, რომელსაც აქვს შეძლება გადავიდეს ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადააქვს თან საქონელი და ყიდის მას მომატებულ ფასებში. სხვები თავის პირადი შრომით აწარმოებენ სპეკულიაციას, ასრულებენ რა სხვადასხვა სამუშაოს. სპეკულიაციის მოსპობა მუშებში ძნელი საქმეა. საჭიროა ორგვარი ზომის მიღება. პოლიტიკური აღზრდა, შემადგენლობის თანდათანობით გაწმენდა და ახალი მუშაკებით შეცვლა სპეკულიაციასთან საბრძოლველად. ჩვენ არ უნდა უცადოთ მორიგ ყრილობას ან კონფერენციას. ეს საკითხი წმინდა პრაქტიკული საკითხია დღევანდელ დღის. ეს საკითხი პროფ. კავშ. კომპეტენციაში შედის. მათ ხელს არის სპეკულიაციის სწრაფი მოსპობა.

საფრანგეთის განზრახვა.

პეტროგრადი. 25 სექ. ხმელთაშუა ზღვაში მყოფმა საფრანგეთის ფლოტმა მიიღო ბრძანება იყოს მზათ შავ ზღვაში შესასვლელად. ალბათ ოდესის დაკავება აქვთ განზრახული. საფრანგეთი თანახმათ უცხოეთის დიპლომატიურ წრეების ცნობებისა, საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ახალი ფრონტის შექმნას ცდილობს. სამხრეთ რუსეთში გადმოსხდარი საფრანგეთის ჯარები უნდა დაეხმარონ ვრანგელს და ამ რიგად ჩამოსჭრან საბჭოთა რუსეთიდან მოსავლიანი უკრაინა.

საფრანგეთი ვრანგელს ეხმარება.

პეტროგრადი 25 სექ. საფრანგეთის გენერალი ვეიგანი, რომელიც პოლონეთის კონტრ-შემოტევას ხელმძღვანელობდა ყირიმის ჯარის სარეორგანიზაციოთ ვრანგელთან მიემგზავრება.

ვრანგელის განცხადება.

რეველი. 28 სექტ. ვრანგელმა ოფიციალურად განაცხადა პარიზში, რომ მას მიმდინარე წელს მოსკოვის წინააღმდეგ ლაშქრობა არ აქვს განზრახული. იგი ითხოვს მოკავშირეების არა სამხედრო დახმარებას, არამედ დახმარებას სამხრეთ რუსეთის აღსადგენათ.

გაფიცვა ფინლიანდიაში.

პეტროგრადი. 25 სექტ. ფინლანდიის მუშათა წრეებში გაფიცვის სურვილით არიან შეპყრობილნი. დაიწყო პოლიტიკურ ხასიათის გაფიცვები.

საბჭოთა რუსეთის საზავო პირობები.

რიგა. 28 სექტ. რუსეთ-უკრაინის დელეგაციამ ჩააბარა პოლონეთის დელეგაციას პროექტი პრელიმინარულ ზავისა, რომელშიაც წინდახედულია დამოუკიდებლობა და სუვერენობა ბელორუსიისა, ლიტვისა და უკრაინის რესპუბლიკების. აღმოსავლეთ გალიციას კი ეძლევა უფლება პლებისციტის სახით გამოარკვიოს თავისი ნება-სურვილი. აღიარებულია დამოუკიდებლობა პოლონეთის რესპუბლიკისა. აღნიშნულია საზღვარი და სხვა საზავო პირობები, რომლებიც საერთოდ აღნიშნული იყო სრულიად რუსეთის აღმასრულებელ კომიტეტის განცხადებაში.

პოლონეთი გვიტევს.

მოსკოვი ოქტ. 1. პანები განაგრძობენ შემოტევას. მიუხედავად ჩვენი საზავო პირობებისა პოლონეთის ლეგიონერები განაგრძობენ ქალაქების-ქალაქებზე დაკავებას. პანების ბრწყინვალე მოკავშირე ბარონი ვრანგელი მთელი ძალით ებმარება შლიახტის ხიშტებს, ბარონის ურდოები კიდევ არ არიან შეჩერებულნი. მათ მარიუპოლი დაიკავეს. ყირიმის ბანდების ვერაგი ხელი კვლავ დონის ხეობისაკენ არის გაწვდილი, ვინაიდან დონის ხეობა არის წყარო სითბოსა და სინათლის. ახალი საშიშროების, საერთაშორისო ბურჟუაზიის ახალი შეთქმულების წინ, რუსეთის მუშებმა და გლეხებმა უნდა გამოამჟღავნონ მთელი თავისი ორგანიზაციული სიძლიერე, ფოლადის სიმტკიცე, სიმშვიდე და გულცივობა.

ლიონის ცნობები

საბჭოთა რუსეთი და პოლონეთი.

ვარშავიდან მოსული ცნობით საბჭოთა რუსეთი თანახმაა მიიღოს პოლონელებისაგან წარმოდგენილი ყველა პირობა, გარდა წითელი არმიის ნაწილობრივ, ან სავსებით განიარაღებისა. იმედი აქვთ რომ ზავი ოქტომბრის 5 ჩამოვარდება.

ოქტომბრის 1.

ფრანგული ცნობები

საპეგას განცხადება

თავადმა საპეგამ ინგლისის გაზეთებს გაუცხადა, რომ რიგას მოლაპარაკება მშვიდობიანათ დასრულდებაო.

პოლონეთი და ლიტვა.

პოლონეთმა სთხოვა ლიტვას გამოგზავნოს დელეგატები სუვალკში.

ბრიუსელის კონფერენცია.

ბრიუსელის კონფერენციაზე ბელგიის და ინგლისის დელეგატების შესახებ ილაპარაკა ამერიკის ოფიციალურმა დელეგატებმა, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ამერიკა დაინტერესებულია საერთაშორისო ფინანსიურ სოლიდარობით. „მატენის“ ცნობით ამერიკის დელეგატები მომხრე იყვნენ ეკონომიურ საკითხებში დამარცხებულთა და გამარჯვებულთა მორიგებისა.

ბრიუსელის კონფერენციაზე მოისმინეს ამერიკის, გერმანიის და ავსტრიის წარმომადგენელთა მოხსენებანი.

ვრანგელის მოძრაობა.

რუსეთში ალექსანდროვსკის ჩრდილოეთით ვრანგელის ჯარი ბოლშევიკების დევნას განაგრძობს.

საქ. დეპ. სააგენტოს „საინფორმაციო განყოფილება“

ბოლშევიკების ოქროს ღირსება.

ლონდონი. ოქტ. 1. (რადიო) „ტაიმსის“ ფინან. საკ. თხების კორესპონდენტი აფრთხილებს ინგლისის ფირმებს, რომლებსაც სურთ საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულება დაიკავონ და ინგლისის საქონელში ბოლშევიკებისაგან ოქრო მიიღონ. შვეციის მაგალითმა გვიჩვენა, რომ ამ ოქროში გარეულია ბისმუტი და სხვა ნივთიერება, რომლებიც ოქროს 18 პროცენტით უკარგავს ღირებულებას.

მუსტაფა ქემალი.

კონსტანტინოპოლი. 26 სექტემბერი. „სტამბოლი“ იუწყება: მუსტაფა ქემალი მძიმედ ავად გახდა, საჭიროებს ოპერაციას. ექიმები შიშობენ, რომ ოპერაციას გართულება მოჰყვებაო.

ჩინეთი და რუსეთი.

პეკინი. 27 სექტ. ჩინეთის მთავრობამ [illegible] რუსეთის ჩინეთში მყოფი საკონსულოები, რადგან ისინი [illegible] საკონსულოს შენობებზე რუსეთის დროშების ჩამოსაშვებათ. ჩინეთის მთავრობას განზრახული აქვს აიღოს თავის თავზე რუსეთის ინტერესების დაცვა.

სიძვირე ინგლისში.

პარიზი. 20 სექტ. პრესა იუწყება: ინგლისში პირველ საჭიროების საქონლის გაძვირება გრძელდება. გამონაკლის ხორცი და არგენტინიდან შემოტანილი საქონელი შეადგენს.

კრიზისი მრეწველობაში.

პარიზი 22/9 „დე ჟურნალი“ იუწყება: საქონლის ფასის დაწევამ მოულოდნელი კრიზისი გამოიწვია მრეწველობაში. საზოგადოება მოელოდა რა ფასების შემდეგ დაცემას, შეიკავა თავი საქონლის ყიდვაში, რამაც თავის მხრივ მსხვილ წარმოებათა შემცირება და წვრილ წარმოებათა დაცემა გამოიწვია.

ახალი ამბები

◆ **კ. კაუცკი ჩვენს რედაქციაში.** გუშინ დილის 12 საათზე ჩვენს რედაქციას ესტუმრა კარლ კაუცკი თავისი მეუღლით და გაეცნო რედაქტორ-თანამშრომლებს.

— კაუცკიმ ინახულა აგრეთვე „ბრძოლის“ რედაქცია ს. ს. დ. მ. პარტიის ცენტ. კომიტეტის ბინა და „ერთობა“ „ბრძოლის“ სტამბა.

◆ **დელეგაციის გამგზავრება.** 29 სექტემბერს ევროპის სოციალისტური დელეგაცია ბათუმიდან სტამბოლს გაემგზავრა დაწვრილებით შემდეგ.

◆ **მუშათა მაგიდის განცხადება.** იმ მუშისა და მოსამსახურის დამქირავებლები, რომლებიც ღებულობენ მუშათა მაგიდიდან სურსათს, ვალდებული არიან დაუყონებლივ შემოიტანონ დეფიციტის დასაფარავად თვითეულ მოსამსახურეზე 3000 მანეთი. ფული უნდა იქმნას შეტანილი მუშათა მაგიდაში კირკის ქუჩა № 3 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობაში. მუშებსა და მოსამსახურეებს ევალებათ თვით იზრუნონ იმაზე, რომ მათმა მეპატრონეებმა დროზე შეიტანონ ფული.

◆ **სამხედრო მინისტრის მიერ მადლობის გამოცხადება.** საავიაციო ნაწილის უფროსი, სამხედრო მფრინავი პოლკოვნიკი მაჭავარიანი გაგზავნილი იყო იტალიაში ჰაეროპლანების შესაძენათ. პოლკოვნიკმა მაჭავარიანმა ამ მინდობილობის ასრულებაში გამოიჩინა დიდი ენერგია და საქმის ცოდნა და ჩინებულად აასრულა მთავრობის დავალება. ასეთი ნაყოფიერი და სამშობლოსთვის სასარგებლო სამსახურისათვის პოლკოვნიკ მაჭავარიანს სამსახურის სახით ვუცხადებ მადლობას. (სდს).

◆ **მისალმება მთავრობას.** მთავრობის თავმჯდომარის სახელზე სოფ. გალიდან, სადაც გაიხსნა ს.-დ. მუშათა პარტიის ყრილობა, მიღებულია შემდეგი მისალმება: ს. დ. მ. პ. ყრილობა, რომელიც 26 სექტ. შესდგა სოფ. გალში მოგესალმებათ თქვენ, ქართველი ხალხის ხელმძღვანელს. ყრილობას სწამს, რომ ქართველი ხალხი, თქვენის დახმარებით, განაგრძობს წინსვლას. ჩვენ ხელს შეუწყობთ სამშობლოს აღორძინებას და აყვავებას. გაუმარჯოს დამფ. კრებას და მთავრობას. (სდს)

◆ **სახალხო ჯანმრთელობის დეპარტამენტში.** დეპარტამენტმა შეიმუშავა სექტემბრის 11—22 გადამდებ სენის გავრცელების № 2 ბიულეტენი. სექტემბრის 16 შავი ჭირით ავათ იყო 26 კაცი. სექტემბრის 22 ავად გახდა კიდევ 5 კაცი, მოკვდა 3, მორჩა 1, საავადმყოფოებში იმყოფება 27. თფილისში სექტემბრის 16 ხოლერით მორჩა 8 და კიდევ მოემატა შემდეგ 1, მოკვდა 1, საავადმყოფოშია 10. (სდს)

◆ **გერმანიის ელჩმა** მაიერმა რესპუბლიკის მთავრობას სექტემბრის 29 გადასცა რწმუნებულების ბარათი და განუცხადა სურვილი ვერსალის ხელშეკრულობის საფუძველზე ამ ორ სახელმწიფოს უფრო მჭიდრო მეგობრული კავშირის დამყარებისა.

◆ **სომეხი ლტოლვილები.** სომხეთის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა სთხოვა საქართველოს მთავრობას, რომ მან გაატაროს საქართველოს ტერიტორიაზე სატრანზიტო წესით სომეხი ლტოლვილები. საქართველოს მთავრობამ დააკმაყოფილა ეს შუამდგომლობა პირობით, თუ ლტოლვილთა სია შედგენილი და დამტკიცებული იქნება სომხეთის და საქართველოს კონსულების ურთიერთ შეთანხმებით. არც ერთ ლტოლვილს არ ექნება ნება საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენისა. ერთი შემთხვევაც თუ იქნება შენიშნული ლტოლვილთა საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენისა, მაშინ სომეხ ლტოლვილთა გატარება სრულებით იქნება შეწყვეტილი.

◆ **დეპუტატი აკაკი ჩხენკელი** გუშინ დაბრუნდა აბასთუმნიდან თფილისში.

◆ **პურის გამოცხობა.** პროფესიონალურ კავშირის „პროდოვოლსტვიეს“ მდივანმა დიმიტრიადის მიერ იჯარით აღებულ ფურნეში სამუშაოდან დაითხოვა 6 მუშა, რომელნიც შრომის ბირჟიდან არ იყვნენ გამოგზავნილნი და მათ მაგიერ დააყენა არა სპეციალისტი ახლები, რის გამოც ცუდი პური ცხვება. ამის გამო შრომის კომისარმა აცნობა პროფესიონალურ კავშირის მდივნებს, რომ უკანონოთ მიღებულ მუშებს სამუშაოდან მოხსნა უნდა ხდებოდეს მხოლოდ შრომის კომისრის განკარგულებით. პროფესიონალურ კავშირთა თავის ნებაზე მოქმედებას დეზორგანიზაცია შეაქვს მეურნეობაში და ამას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ამავე მიმართა მილიციის კომისარს და აუწყა, რომ მილიციის დახმარებით ამ შემთხვევაში შეუძლიათ უკანონოთ მიღებული მუშების სამუშაოდან მოხსნა, თუ ამის შესახებ აქვთ შრომის კომისრის განკარგულება.

◆ **სახალხო გვარდიაში.** დღეს სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის კულტურულ განმანათლებელი განყოფილების მოგზაური დასი საღამოების გასამართავად გაემგზავრა გარეკახეთისაკენ.

◆ **შრომის [illegible].** შრომის კომისარმა დაათვალიერა სად. ქსანში ანდრონიკაშვილის აგურისა და კრამიტის ქარხანა, და შეიტყო, რომ შედარებით 1919 წელთან შრომის ნაყოფიერება დაცემულა. ამის შესახებ [illegible] კვლავ შრომის კომისარმა მოიწვია ამ ქარხნის მუშათა კრება და განუმარტა მათ, რომ შრომის ნაყოფიერებაში თვით მუშები უნდა იყვნენ დაინტერესებულნი და ამ მხრივ მუშებისაგან უნდა იქნას ენერგიული ღონის ძიება მიღებული. ამასთანავე შრომის კომისარმა ანდრონიკაშვილის ქარხნის საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტს წერილობითი მოწოდებით

მიმართა თვალყური ადევნოს, რათა მუშებმა კეთილ სინდისიერათ შეასრულონ თავისი მოვალეობა. (სდს).

◆ **ლექცია გვარდიელთათვის.** ნავთლუღის ორშაბათიდან 4/ამ თვიდან დაიწყება სისტემატიური ლექციების კითხვა გვარდიის ტყვიისმფრქვეველთა სამოსწავლო კურსებზე და ნავთლუღის რაიონის გვარდიელთათვის. ლექციას წაიკითხავენ: ვალიკო ჯუღელი—გვარდიის დაარსება, მისი მნიშვნელობა და მიზნის შესახებ. სეით დევდარიანი—რუსეთის რევოლუცია, მსოფლიო ომი და მისი შედეგების შესახებ. პავლე საყვარელიძე საქართველოს დამოუკიდებლობა და მისი კონსტიტუციის შესახებ. ალექსანდრე ლომთათიძე დამფუძნებელი კრების შესახებ. ვიქტორ თევზაია საქართველოს საგარეო მდგომარეობა და ინტერნაციონალური მოძრაობის შესახებ. ალექსანდრე დგებუაძე—საქართველოს თანამედროვე ფინანსიური და ეკონომიური მდგომარეობის შესახებ, გაბრიელ ხუნდაძე საბჭოთა რუსეთის მდგომარეობის შესახებ. შალვა აბდუშელიშვილი — მუშათა საკითხი და საქართველოს პროფესიონალური მოძრაობის შესახებ. ივანე გომართელი—მიწის საკითხის შესახებ. კალე ქუნტე—საქართველოს ისტორიაზე. ლექციები შესდგება ორშაბათს, სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს შუადღის 12 საათზე.

◆ **ავათმყოფების მიღება.** სახელმწიფო უნივერსიტეტის დიაგნოსტიური კლინიკა აცხადებს, რომ შინაგან სნეულებით ავათმყოფნი მიიღებიან ყოველ დღე დილის 10 საათიდან 11 საათამდის დიდი მთავრის ქუჩა № 103.

◆ **„ეშმაკის მათრახი“** თვეში ღირს 200 მან. გამოწერა შეიძლება მხოლოდ სამი თვით. ხელისმომწერლებმა, რომელთაც გამოწერილი აქვთ ჟურნალი, თუ სურთ, რომ არ შეუწყდეთ გზავნა, უნდა გამოგზავნონ დასამატი ფული.

◆ **სასკოლო სახელმძღვანელო წიგნები.** გამოვიდა და იყიდება საკუთარ მაღაზიაში (რუსთაველის პროსპ. № 9. სასტუმრო „ორიენტის“ ქვეშ) წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შემდეგი გამოცემანი: 1) რომის ისტორია (გიმნაზიის კურსი) პროფ. დ. უზნაძისა, 2) ბუნების მეტყველების მოკლე სახელმძღვანელო ს. იაშვილის. 3) დედაენა I ნაწილი 4) დედა ენა II ნაწილი. 5) ახალი ისტორია, რუსული ისტორიის დართვით, გველესიანის და უზნაძისა. 6) ქართველი მწერლები I ნაწ. ი. გომელაურის. 7) II ნაწ. მისივე 8) რუსული ენის გრამატიკა პროფ. გ. ახვლედიანის. 9) არითმეტიკის სახელმძღვანელო ვ. ხრამელაშვილის 10) არითმეტიკული ამოცანათა კრებული მისივე I ნაწ. 11) იგივე II ნაწ. იბეჭდება უნივერსიტეტის სტუდენტთათვის სახმარებლად პროფ. ი. ჯავახიშვილის წიგნი: „ისტორიის მიზნები და მეთოდები.“

კრებები.

— კვირას, 3 ოქტომბერს, დილის 10 საათზედ, ქალთა მეორე გიმნაზიაში (დიდი მთავრის ქუჩა), საქართველოს მასწავლებელთა კავშირის საბჭო იწვევს თფილისის ყველა ტიპის და [illegible] სასწავლებელთა მასწავლებლების საზოგადო კრებას.

— დღეს, 2 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე მუშტაიდის დემოკრატიულ კლუბში შესდგება საზოგადო კრება ვაგზლის (ტრამვაის) რაიონის სახალხო გვარდიელებისა ამხანაგ გვარდიელებს ვთხოვთ აუცილებლათ დაესწრონ კრებას.

— კვირას, 3 ოქტომბერს დილის 10 საათზე, აკ. არჩილ რუხაძის თან (შტაბის ქუჩა, სახ. № 2 მეორე სართულში) დანიშნულია „ცისარტყელას“ ჯგუფის საზოგადო კრება. ვთხოვთ ამხანაგებს დაესწრონ.

— კვირას, 3 ოქტომბერს დილის 10 [illegible] დანიშნულია საავადმყოფო კაშინის შინაურ კომიტეტების ყველა წევრების თათბირი.

— ახალკაზარმა მარქსისტთა, მეოთხე რაიონული კოლექტივი, კვირას 3 ოქტომბერს, დილის 10 საათზე ვერის მუშათა კლუბის დარბაზში იწვევს, თავის რაიონის ორგანიზაციის წევრთა საზოგადო კრებას. კრებაზე მოხდება კოლექტივის წევრთა სულ ახალი არჩევნები. თუ პირველი კრება 10 ს. არ შესდგა, მეორე ინიშნება იმავე დღეს, 11 საათზე, და კანონიერათ ჩაითვლება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

— დღეს, საღ. 5 ს. დანიშნულია მეოთხე რაიონის მოწინავე მუშების [illegible] წრის მეცადინეობა.

საბჭოთა რუსეთში

კოოპერატორების საქმე. ამას წინად დაბეჭდილი იყო ბოლშევიკური ცნობა, რომ მოსკოვში „ვერხოვტრიბუნალში“ დაიწყო კოოპერატორთა საქმის გარჩევა. სამართალში მიცემული იყო რუსეთის რამდენიმე ცნობილი კოოპერატორი. მათ ბრალდებოდათ საბოტაჟი და საბჭოთა ეკონომიური პოლიტიკის ჩაშლის ცდა. საქმის გარჩევა უკვე დასრულდა. ბრალდებულთაგან ყოფ. კერენსკის დროის მინისტრს ნიკიტინს, ბერკენჰეიმს და ადოლფ მარღულოვიჩს მიუსაჯეს უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა. მაგრამ შემდეგ დახვრეტა 15 წლით დაპატიმრებით შეუცვალეს 3 გაამართლეს, დანარჩენს მიუსაჯეს ციხე 3—10 წლით. („კომ.“ № 105).

„ვრანგელის კვირა“. ვრანგელის წინააღმდეგ საბრძოლველათ მოხალისეთა მოსაკრებათ ჩრდილო კავკასიაში „ვრანგელის კვირა“ გამოაცხადეს. ყველა სტანიცებში და აულებში აგიტატორები დაგზავნეს. („კომ.“ № 105).

დამშეული ცენტრი. ჩრდილოეთ კავკასიაში კავკასიის შრომის არმიის 1-ლ ბრიგადის წითელ არმიელების კერძიდან დღეში ნახევარ გირვანქა პური ერთი თვის განმავლობაში და ერთი დღის ჯილდო დამშეულ ცენტრისთვის იგზავნება. („კომ.“ № 105).

მობილიზაცია ჩრდილოეთ ოსეთში. ჩრდილოეთ ოსეთში მობილიზაცია მოახდინეს. ერთი სოფლიდან 12 კაცი გაიყვანეს. („კომ.“ № 105).

ცეცხლისაგან დაზარალებულნი. სარატოვში ცეცხლისაგან დაზარალებულა 300 [illegible] ოჯახი. („კომ.“ № 105).

წითელ არმიელების სულიერი განწყობილება. მოსკოვის „ბედნოტა“-ს № 719-ში მოთავსებულია მე-688 ჰოსპიტალის წითელ არმიელთა შემდეგი წერილი: „ჩვენ ვღელავთ, შინიდან წერილებს არ ვღებულობთ. ვიცით, რომ საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტა დახმარება გაუწიოს ჩვენ ოჯახებს. მაგრამ ამ დახმარებას ყველგან არ უწევენ. განა რა იქნებოდა, რომ ჩვენი ამხანაგების ერთი ნაწილი სახლში გაუშვან ხელმეორედ, ნახონ რა ხდება იქ. რა იქნებოდა, რომ დასასვენებლათ სახლებში გვეგზავნეთ ჩვენ. საქმისთვის ეს უმჯობესი იქნებოდა“. „ბედნოტა“-ს რედაქცია ამ წერილს ასეთ შენიშვნას უკეთებს: სახლში მცირე ხნით წასვლით თქვენ ვერ აღადგენთ თქვენ ძალებს, პირიქით უფრო დასუსტდებით. სახლში დასაბრუნებლათ და მეურნეობის აღსადგენათ საუკეთესო საშუალება არის ის, რომ რაც შეიძლება მალე შემუსროთ პანები და ვრანგელი. თქვენ მიერ ნარჩევი სხვა საშუალებანი არ ვარგა. თქვენ სცდებით, როცა ფიქრობთ, რომ ასეთი საშუალებები კარგია“.

„მიშველეთ“! ამ სათაურით იმავე გაზეთის იმავე ნუმერშია მოთავსებული შემდეგი: „ვთხოვ „ბედნოტა“-ს მკითხველებს, იქნება მათ იციან რამე ორლოვის გუბ. ბრიანსკის მაზრის ფოშნიანის საზ. სოფ. ხოლომოვიჩის მოქალაქეების ჩემი მშობლების შესახებ. ვინც იცის, სად არიან ისინი და რა მოუვიდათ მათ—შეატყობინოთ მოსკოვში საერთო საევაკუაციო ჰოსპიტალში წითელ არმიელ ტარას ივანეს ძე ივანოვს. („ბედნოტა“ № 719).

„ვინ ქურდობს?“ „წითელ არმიელები მცარცველები არიან, ქურდები და სხ. ასე ყვიროდნენ წითელ არმიის მოსისხლე მტრები—დენიკინის მაჩანჩალები. ესენი ეხლაც გაჰკივიან: წითელ არმიელები ქურდობენ, სცარცვავენ. და, მართლაც, იყო ფაქტები, რომ ამა თუ იმ სტანიცაში წითელ არმიელთა ნაწილის დაბანაკებისთანავე ქურდობა ძლიერდებოდა“. („კრასნი ბოეც“ № 2).

სუბოტნიკი. „კომუნისტ“-ის № 130-ში სუბოტნიკების ბიურო აცხადებს, რომ უკანასკნელ სუბოტნიკზე მუშაობდა სულ 923 კაცი, უნდა კი გამოსულიყო 3,000 კაცი. გამოცხადებულთაგან 97 კაცი ელექტრონის სადგურის არხს სწმენდდა, 124 კაცი რკინის გზის სახელოსნოებს ასუფთავებდა, დალაქებმა 2 საავადმყოფოში 450 კაცი გაკრიჭეს და გაპარსეს, 3 ასო-ამწყობი მოწოდების ტექსტს აწყობდა, დანარჩენ 684 კაცმა შპალები დაამაგრეს 4 ვერსის მანძილზე.

„წითელ“ აზერბეიჯანში

ლტოლვილები. აზერბეიჯანის პროფ. კავშირების ყრილობაზე ჩურაევმა მოხსენება წაიკითხა შრომის კომისარიატის მოქმედების შესახებ. მისი სიტყვით ყველაზე თავსატეხი საკითხია ლტოლვილების მდგომარეობა. აზერბეიჯანის მიწა-წყალზე იმყოფება 260,000 ლტოლვილი. ლტოლვილები საკმაო დახმარებას ვერ ღებულობენ. ძალიან აგრეთვე ბრძოლა მათხოვრობის წინააღმდეგ. („კომ.“ № 105).

სამობილიზაციო „ტროიკამ“ უბრძანა მოსახლეობის [illegible] კომიტეტებს, რომ მოახდინონ თავის წევრთა მობილიზაცია ვრანგელის ფრონტზე გასაგზავნათ. („კომ.“ № 105).

პურის დარიგება. „როვრისტანმა“ ბრძანება გასცა, რომ დაწესებულებებში მოსამსახურეებს პური დაურიგდეთ მხოლოდ სამსახურის შემდეგ. ამ ბრძანების დარღვევისთვის დამნაშავეთ რევტრიბუნალს გადასცემენ. („კომ.“ № 105)

კონტრალიონების აღრიცხვა. „აზრევკომის“ დეკრეტით გამოცხადდა ყველა იმ პირთა რეგისტრაცია, რომელნიც წინად სცხოვრობდნენ საკონტროლო დაწესებულებაში. („კომ.“ № 105).

„მუსავატური ავათმყოფობა“, „ნარკომპუტ“მა [illegible] გამოსცა ბრძანება, რომელიც ასე იწყება: „ბოლო დროს რკინისგზელების ოჯახის თანამშრომლებში გავრცელდა მუსავატური ავათმყოფობა—ბილეთებზე სპეკულიაცია და მექრთამეობა. („კომ.“ № 105).

პროფ. კავშ. საბჭოს აღმ. კომიტეტის განცხადება

საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა პროფესიონალურ კავშირებს შემდეგი განცხადებით მიმართა: „პატივცემულო ამხანაგებო, როგორც თქვენ მოგეხსენებათ—რუსეთის საბჭოთა მთავრობამ არ შეუშვა რუსეთში ჩვენი დელეგაცია. აღმასრულებელმა კომიტეტმა სექტემბრის 21 იმსჯელა შექმნილ მდგომარეობის შესახებ და შემდეგი დადგენილება გამოიტანა: 1) უშუამავლოთ მიმართოს რუსეთის პროფესიონალურ კავშირებს და აცნობოს, რომ საქართველოს მუშათა კლასი ცდილობდა გაცნობოდა რუსეთის მუშათა კლასის ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობას, გაცნობოდა მის მუშაობას და ურთიერთ გაცნობით აღედგინა ძმური კავშირი. თუ მას (ჩვენ მუშათა კლასს) წაართვეს ეს საშუალება, დეე მაშინ თვითონ რუსეთის მუშათა კლასმა გამოგზავნოს ჩვენთან თავისი დელეგაცია: ჩვენ გაძლევთ სრულ გარანტიას, რომ ჩვენი მთავრობა დართავს მას ნებას რესპუბლიკაში შემოსვლისას და რომ დელეგაცია დიდი სიხარულით იქნება მიღებული. 2) გაეგზავნოს მიმართვა პროფესიონალურ კავშირთა საერთაშორისო ბიუროს და აცნობოს მას, რომ ჩვენი დელეგაცია არ იყო შეშვებული რუსეთში, რომ ბოლშევიკურ მთავრობას ეშინია გამოაქვეყნოს შედეგი თავისი მუშაობისა და რომ ამიტომ ხელი შეუშალა საქართველოს მუშებს უშუამავლოთ გაცნობოდა ბოლშევიკების მუშაობას, გაეცნო რუსეთის „სოციალიზმი“ და რუსეთის მუშათა კლასის მდგომარეობა. 3) აცნობოს ყველა პროფესიონალურ კავშირს და საბჭოს რუსეთში დელეგაციის არ შეშვების შესახებ, რომ საქართველოს მუშათა კლასს და მთელ დემოკრატიას ჰქონდეს წარმოდგენა რუსეთის დღევანდელ მმართველობის მოქმედებაზე. გაცნობებთ რა ზემოაღნიშნულს, ვთხოვთ სარაიონო კავშირებს გაეცნოთ შექმნილ მდგომარეობას და გამოიტანოთ ამის შესახებ თქვენი დადგენილება. (სდს).

უმაღლესი ეკონომიური საბჭო

დამფ. კრების დადგენილების თანახმად შრომის სამინისტრო შეუდგა უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს ორგანიზაციის პროექტის შემუშავებას. პროექტის მიხედვით საბჭოსთან იქნება 3 განყოფილება: საფინანსო, სამრეწველო და სავაჭრო. ფინანსიური განყოფილების მიზანია ზომების მიღება საქართველოს რესპუბლიკის ფინანსიური მხრივ უზრუნველსაყოფად და შემოქმედებითი ძალების განსავითარებლად. აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენა, გადასახადთა სისტემის რეორგანიზაციის მიხედვით, ერობათა და ქალაქთა თვითმართველობების უფლებათა სფეროს განსაზღვრა. ფულის ბრუნვის მოწესრიგება. სახელმწიფო და კერძო კრედიტის ნორმალურ მდგომარეობის აღდგენა, შემნახველ [illegible] კასათა მოღვაწეობის სფეროს გაფართოვება, ფულის კურსის განმტკიცება საგარეო ვაჭრობისათვის საჭირო რაოდენობის უცხო ვალიუტის შეძენა, საშინაო და საგარეო სესხი და სახელმწიფოს საფინანსო მეურნეობის საერთო გეგმის შემუშავება, ფინანსიურ განყოფილების მიზანი იქნება სასწრაფო წესით ბიუჯეტის შესადგენად, ბონების გამოცემის შესაწყვეტად და ფულის ბრუნვის მოსაწესრიგებლად კანონპროექტების შემუშავება. ამასთანავე შემუშავება ემისიის საკითხი და სხვა საკითხები ეკონომიურ ცხოვრების მოწესრიგებასთან დაკავშირებული. აგრეთვე მიღებულ იქნება მთელი რიგი ზომებისა სახელმწიფო ხარჯების შესამცირებლად. ფინანსიურ განყოფილებასთან განზრახულია ფულის ბრუნვის, სახელმწიფოს შემოსავლის და გასავლის, გადასახადების და სხვათა შესახებ სტატისტიკური განყოფილების დაარსება. განყოფილების მიერ შემუშავებული პროექტები საბჭოს წარედგინება განსახილველად. (სდს).

ჯაველიძის უკანასკნელი გამოსვლა და ოსი სოც.-დემ. პოზიცია ამ საკითხში

1920 წ. 21 ენკენისთვეს შესდგა თფილისში ოსი სოციალ დემოკრატების თათბირი. თათბირს დაესწრნენ სხვა და სხვა კუთხიდან ჩამოსული პარტიული ამხანაგები. თათბირს თავმჯდომარეობდა ალ. ფარნიევი, მდივნობდა ს. ხარებოვი და გ. ფ—ვი. დღიურ წესრიგში იდგა სამი საკითხი.

1) მთა ოსეთის (ჯავის ხეობის) უკანასკნელი შეიარაღებული გამოსვლა საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ და ჩვენი დამოკიდებულება ამ საკითხთან.

2) მოხსენება ადგილებიდან და ორგანიზაციული კითხვები.

პირველ საკითხზე მოხსენებას აკეთებს დამფუძნებელი კრების წევრი გ. გაგლოევი.

გამორკვევა იმ საერთო პირობებისა, შესწავლა იმ საერთო მიზეზებისა, რომლებმაც ლოღიკურად წარმოშვეს ჯავის ხეობის მცხოვრებთა საშინელი კატასტროფა, აი—უმთავრესი დედა აზრი დღევანდელი თათბირის, (წყენს მომხსენებელი, მაგრამ სამწუხაროდ [illegible] ამ გამოსვლის უკანასკნელ ეტაპს, ამბობს მომხსენებელი, ნება მიბოძეთ ჩემს თავს აღვადგინო თქვენს ხსოვნაში ზოგიერთი ისტორიული ფაქტი, რომლებმაც გადამწყვეტი როლი ითამაშეს ამ სამწუხარო გამოსვლის პროცესში.

შემდეგ მომხსენებელმა თავის ვრცელ მოხსენებაში ამოწურა აღნიშნული ფაქტები ოსი ინტელიგენციის მოღვაწეობიდან, რომლიც (ინტელიგენცია) ერთ მიზანს ემსახურებოდა. სახელდობრ: ოსების მშრომელი ხალხის დაღუპვისაკენ. მან მოიგონა ოსი ინტელიგენციის პირველი ნაბიჯი 1905 წ. ეს პირველი გამოსვლა დამახასიათებელი იყო იმ მხრივ, რომ სათავეში შეიცვალა ელემენტებს, რომლებიც არაფერს კარგს არ უმზადებდნენ მშრომელ ოსობას: ნაცვლად რევოლუციონურის ბრძოლისა ეს ჯგუფი „პეტიციებს“ უგზავნიდა ყოფ. რუსეთის მეფის მოადგილეს ვორონცოვ-დაშკოვს და მოდრეკილი ევედრებოდა მას ნება მიეცა მათთვის „ოსური ოლქის“ შედგენის სამხრეთ ოსებისაგან. როდესაც ჩვენი პარტია აწარმოებდა რევოლუციონურ მუშაობას სამხრეთ ოსებში 1904, 5, 6 და 7 წლებში, ამ დროს ეს ჯგუფი მირბის თფილისის სასახლისაკენ და პირველის წერით ეუბნება იმავე დაშკოვს, რომ მათ (ინტელიგენციას) არაფერი არა აქვთ საერთო „ბუნტოვშჩიკებთან“, ასეთი [illegible] 1906 წ. განმანთავისუფლებელმა მოძრაობამ ოსი-ინტელიგენციაში და მე საჭიროდ უნდა განვაცხადო, განაგრძობს ორატორი, რომ მან არ უღალატნია ამ დამახინჯებულ ნაციონალისტურ იდეასთვის უკანასკნელ დღემდის. რუსეთის დიდ რევოლუციას არ შეეძლო არ მოეხდინა ზედგავლენა ოსი „სამოსტიინიკების“ მსოფლმხედველობაზე. და ჩვენ მოწმენი ვართ იმ საოცარ მეტამორფოზის, რომელიც განიცადა უმეტესმა ნაწილმა ოსი-ინტელიგენციისა. ვორონცოვ-დაშკოვის მოხელეებიდგან ისინი გადიქცნენ ს.-რევოლუციონერებად და კომუნისტებად.

მაგრამ ახალმა პოლიტიკურმა სამოსელმა ვერ დაუახლოვა მათ მშრომელი ხალხი, უკანასკნელის თანაგრძნობა ყოველთვის ჩვენსკენ იყო. (მოვიგონოთ რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნები). ამ დროს მოხდა ორი ისტორიული ფაქტი, რომელთაც შექმნეს ხელსაყრელი პირობები მათ მუშაობისათვის. მე ვგულისხმობ—ჯერ რუსეთის და შემდეგ ამიერ კავკასიის ცალკე, ერთეულებად დაყოფას. ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა ისარგებლეს შექმნილი პირობებით და გაჩაღეს პროვოკაციული მუშაობა ჩვენ პარტიის და რესპუბლიკის მთავრობის წინააღმდეგ. საქართველო განგებ ჩამოშორდა რუსეთს, საქართველო ნაციონალურ სახელმწიფოს აშენებს (ნაციონალიზაციის გამოცხადება), მაგრამ, იძახდნენ ოსი ნაციონალისტები, ჩვენ გვინდა პური და პურის მოცემის საშუალებას კი მოკლებულია საქართველოს რესპუბლიკა, მაშასადამე ჩვენი ხსნა ჩრდილოეთ კავკასიაშია, რომელსაც შეუძლიან ჩვენთვის პურის მოცემა. აღნიშნულ ფარგლებში აწარმოებდნენ ჩვენი რესპუბლიკას მტრები პოლიტიკურ მუშაობას და ბუნებრივია, რომ მშიერი მთის ნაწილის ოსობა გაჰყვა ამ ავანტიურისტებს. ასეთი იყო, გაკვრით რომ ვთქვათ, პურის საკითხისა მთიელ ოსების უკანასკნელ გამოსვლაში.

ამ გვარი არგუმენტებით ამაგრებდნენ ჩვენი პოლიტიკური მოპირდაპირენი თავიანთ ძირითად დებულებებს ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთების შესახებ.

მეორე უმთავრესი მომენტი, რომელმაც მოსისხლე მტრებად გადააქცია ოსი ინტელიგენცია ჩვენი რესპუბლიკას გამომდინარეობდა ნაციონალიზაციის საკითხისაგან, ოსი ინტელიგენციის უმრავლესობამ არ იცოდა ქართული ენა, ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებით ისინი ჰკარგავდნენ „თბილ ადგილებს“... უკანასკნელის შენარჩუნება მათ მოისურვეს სამხრეთ ოსეთის ცალკე ოლქათ გამოცხადებით. მაგრამ, რადგანაც ოსობის უმრავლესობა არ იზიარებდა მათ შეხედულებას ოლქის საკითხის შესახებ (არ იზიარებდნენ უმთავრესად ბარელი ოსები) ამისთვის ამ საკითხის გარშემო მათ შექმნეს საშინელი პროვოკაცია. ქართველები ნაციონალისტები არიან, მათ დაისახეს მიზნად ოსების გაქართველება, ოსების მოსპობა, მტრულ ვიტყვი—ისინი ყველ კუთხეში სამხრეთ ოსეთისა ჰყვიროდნენ—საქართველოს გვარდია და მთავრობა თავადაზნაურულია და სხ... და თუ საქართველოს მთავრობა სოციალისტურია მაშინ რატომ არ გამოჰყოფენ სამხრეთ ოსეთს ცალკე, დამოუკიდებელ ოლქად... უკანასკნელის გარშემო თავი მოიყარა ყველა უკმაყოფილო ელემენტმა, ოსი ნაციონალისტებიდგან დაწყებული და ბოლშევიკებით გათავებული. მოითხოვდნენ ოლქს, მაგრამ რა შინაარსი იყო ჩამოსხმული ამ შემეცნებაში, რა დამოკიდებულება ექნება ამ ოლქს საქართველოს რესპუბლიკასთან—არა, ეს არსებითი მხარეები ამ დიდ საკითხისა არ იყო გათვალისწინებული, შესწავლილი...

ამავე დროს მთავრობის განკარგულებაში იყო აღმოჩენილი საბუთები იმის შესახებ, რომ უმთავრესი მიზანი დასახული ამ უპასუხისმგებლო ჯგუფების გამოიხატებოდა რესპუბლიკის დანგრევაში.

რომ უკანასკნელი დებულება არაა მოკლებული შინაარსს ამისთვის საკმარისია მოვიგონოთ ოსი სოციალისტ-რევოლუციონერების და კომუნისტების გამოსვლები ნაციონალურ საბჭოში, კრებებზე და სხვაგან. მაგრამ ყველაზე მეტად დამახასიათებელია ამ მხრივ ოსების ნაციონალური საბჭოს მუშაობა ივანე ფ ლიევის თავმჯდომარეობით. (საბჭო შესდგებოდა კომუნისტების და ს.-რევოლუციონერებიდგან). საბჭოს მუშაობა მიმართული იყო საქართველოს დემოკრატიული მთავრობის პრესტიჟს დაცემისაკენ... საბჭო არ ემორჩილებოდა რესპუბლიკას კანონებს, ერეოდა ადმინისტრაციის და სასამართლოს საქმეებში, ეწინააღმდეგებოდა მთავრობას ჯავის რაიონში ერობის შემოღებაში, მოუწოდებდა ხალხს ბოიკოტი გამოეცხადებინათ საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის, მართავდა მოლაპარაკებას, სხვა და სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლებთან სამხრეთ ოსეთის ცალკე ერთეულად გამოსაყოფად.

მთავრობამ გადაწყვიტა ამ საბჭოს ფიზიონომიის გამორკვევა, რაც გათავდა მის დაშლით. საბჭოს უმრავლესობამ თავი შეაფარა მთებში და განაგრძობდა ბნელ მუშაობას.

ამ დროს ჩრდილოეთ კავკასიაში ბოლშევიკური გადატრიალება მოხდა. უკანასკნელით ისარგებლეს რესპუბლიკას მტრებმა, მათ მოუყარეს თავი ჯავკავში ყველა უკმაყოფილო ელემენტებს, ისარგებლეს საქართველოს საგარეო გართულებული მდგომარეობით (ამ დროს ომი [illegible] აზერბეიჯანთან) და გამოაცხადეს ჯვაროსნული ომი.

თქვენ იცით, ამხანაგებო, ათავებს მომხსენებელი, რომ ეს ავანტიურისტები სასტიკად [illegible], მაგრამ ყველაზე სამწუხარო ისაა, რომ მათ დალუპეს მთიანი ოსეთი...

მოხსენების შემდეგ დაიწყო შეკითხვები... წამოყენებულია სამი უმთავრესი შეკითხვა.

პირველი—მოხდებოდა თუ არა ეს ტრაგედია, რომ მთავრობას გადაეწყვიტა ოლქის საკითხი; 2—რას ფიქრობს მთავრობა იმ მცხოვრებლებზე, რომლებიც გახიზნული არიან ტყეებში და 3—იღებს თუ არა მთავრობა ზომებს იმ აგენტების წინააღმდეგ, რომლებმაც ისარგებლეს შექმნილი მდგომარეობით და აწამებენ უდანაშაულო მცხოვრებლებს...

ჩხაიძე.

(დასასრული იქნება)

ყასბების თავგასულობა.

საქართველოს საზღვრებში შედარებით მაინც საკმაოთ მოიპოვება საკლავი საქონელი, რომელიც ასე თუ ისე უნდა იყიდებოდეს ხელმისაწვდომ ფასებში ღარიბ მოქალაქეებზე და განსაკუთრებით მუშებზე.

ცხელი საჭმელი მუშებისათვის სანატრელი გახდა, ეს მხოლოდ მდიდარი კლასის პრივილეგიას შეადგენს. ის მუშები კი, რომლების სისხლით და ოფლით მორწყულია ჩვენი ტერიტორიის ყოველი კუთხე და რომლებიც იარაღით ხელში დღესაც მზათ არიან დაიცვან თავისი წითელი დროშა, მარტო პურის ანაბარათ არიან და ხორცი ვერ უყიდნიათ, რადგან რიგში ჩადგომის დრო მათ არა აქვთ, და რომ მიიღოს კიდეც რიგით ხორცი მეყასბისაგან, ის ისეთი მდარე ღირსების იქნება, რომ მისი ჭამა ყოვლად შეუძლებელია.

ვერც ქალაქმა უშველა რამე, რომ აელაგმა ყასბების საბოტაჟი; ქალაქს ჰყავს თავისი აგენტები, რომლებიც მოვალენი არიან იყვნენ საყასბოში, სანამ ხორცი გათავდებოდეს, რათა თვალყური ადევნონ მის თანაბრათ განაწილებას. მაგრამ... მაგარი ის არის, რომ ყასბები მაინც ახერხებენ ლამ-ლამობით 3-რიგეული ხარისხის ხორცის „შინაურ მუშტრებში“ დარიგებას; განსაკუთრებით კი ეს საუკეთესო ხარისხის ხორცი რიგდება 70—80 მან. გირვანქა პირველი ხარისხის რესტორანებში ფუთობით, სადაც სადილობა ჩვენთვის მიუწდომელია.

საზოგადოთ ყასბების თავგასულობას საზღვარი არა აქვს, მაგრამ კერძოთ ამ მხრივ სწორეთ ნამდვილ საბოტაჟს აწყობენ ვორონცოვის ძეგლთან ახლოს მოვაჭრე ყასბები. ქალაქის დადგენილებით საღამოს 6 საათს შემდეგ ხორცის გაყიდვა აკრძალულია. ის კი თუ კარგი სანდო პირი ხარ და არ გასცემ ღამის თორმეტ საათზედაც კი მოგიხერხებენ ხორცის შოვნას, საზოგადოთ ყველა ეს ყასბები საყასბოებს კეტავენ ისე ხელოვნურათ, თითქოს შიგ არაფერია. ნახევრათ ღიაა მარტო მხოლოდ შესასვლელი კარი, და რომ ცოტა სინათლემ შეაშუქოს, ხანდისხან ამ კარებს მთლათ გააღებენ: ხალხი გარედან ვერაფერს ხედავს და მისთვის ყველაფერი საიდუმლოთ რჩება, რა ბნელი საქმეებიც იქ იჩარხება. ასე ვაჭრობენ მაგალითად ყველა ჩუღურეთის ყასბები; საყასბო № 11-ში სამი თუ ოთხია ყასაბი, მაგრამ რომ ხალხს მობეზრდეს ქუჩაში „ოჩერედში“ დგომა, ხორცს ჰყიდის და სჭრის მარტო ერთი მათგანი ვინმე არშაკა მატილოვი, მეტ სახელად ეგრეთ წოდებული „ქუკლა“, რომელიც ისე ჩასუქებული და ჩამრგვალებულია, რომ უძნელდება მიხვრა მოხვრა, ან განგებ იძნელებს, რომ ნიხრზე მყიდველი მუშტრები აიძულოს და უხორცოთ გაისტუმროს, დანარჩენები იქით-აქეთ არიან დაყენებული, რომ „თავიანთ“ მუშტრებს ანიშნონ, რომ ხორცი იმათთვის შენახულია.

ნუ თუ ამისთანა მდგომარეობას ბოლო არ უნდა მოეღოს ერთხელ და სამუდამოთ? განა არ შეიძლება, როგორც სხვა სპეკულიანტებზე, ამ ყასბების წინააღმდეგაც ისეთივე ზომები იქნას მიღებული, ესეც ხომ მაჩარი და ფართლეულობა არაა, რომ საზღვარ-გარეთიდან შემოდიოდეს? ან და რისთვის იღებენ ქალაქის გამგეობის სავაჭრო აგენტები ჯამაგირს, თუ ასე დაუდევრობით ეპყრობიან თავიანთ საქმეს, ან და სად არიან ამ დროს მუშათა მაგიდის კონტროლები.

როდემდის?.. უ. ჯაში.

საუკეთესო შემთხვევა

ამ ჟამად ჩვენს რესპუბლიკას დიდი წვეულება აქვს, მას ეწვიენ ევროპის სოციალისტური წარმომადგენლები, რომელნიც იმავე დროს არიან ლეგიური მასწავლებლები ჩვენი მუშათა კლასისა და ჩვენი დღევანდელ [illegible] ბელადებისა. ეს არის უბრალო წვეულება, ამ წვეულებას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის პოლიტიკურად, იდეურად და ეკონომიურადაც. დღემდე ევროპა ჩვენ გვეცნობდა მხოლოდ წიგნიერი ამბით, რომელიც მეტად კრელი და სხვა და სხვანაირი იყო, ამიტომ მეტად ძნელი იყო სინამდვილის დასკვნა, თუ გინდ დღევანდელი ჩვენი საპატიო სტუმრებისათვისაც კი. სულ სხვა იქნება ამიერიდან: უეჭველია ისინი დაათვალიერებენ ქალაქებს, დაბებს, ზოგიერთ სოფლებს და მათ თვალსაჩინო დაწესებულებათ, მაგრამ იმათი უდიდესი ყურადღება უთუოდ მიქცეული იქნება სამეურნეო საწარმოო—ტეხნიკურ დარგისაკენ.

მართალია ბევრს ვერაფერს ნახავენ, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობის ძველსა და ახალს ისტორიას, უნდა ვიფიქროთ, რომ რაც გვაქვს, ისიც გასაკვირველია, ჩვენი ბედი ჩვენს ხელთ არ იყო სწორედ იმ დროს, როდესაც საისტორიო წარმოებამ აღორძინება დაიწყო. ჩვენ არა გვქონდა საშუალება ურთიერთობისა ევროპასთან, სადაც ტეხნიკამ დაიწყო განვითარება. ამ გზაზე დღეს უნდა შევდგეთ ე. ი. დღეიდან ჩვენის საკუთარის ძალღონით უნდა შევუდგეთ ევროპიულ ინდუსტრიალურ წარმოებას. ამას სჭირია კაპიტალი და უფრო კი ცოდნა. ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრე კაპიტალს იშოვის, მხოლოდ საჭიროა ჩვენივე მცოდნე და გამოცდილი ხელი, რომელიც უნდა შრომობდეს ნაყოფიერად და აიცილებს შრომის ნაყოფის მოუვლელ-დაზოგვა, აი, სწორედ, სადაც შეუძლიან ჩვენი სტუმრები, ამ დიდ ნაკლს უთუოდ შენიშნავს მათი გამოცდილი თვალი და სწორედ აქა გვჭირია მათი დიდი დახმარება. დახმარება მათი უნდა გამოიხატებოდეს იმაში, რომ გაგვიადვილონ იქაურ ქარხანა-ფაბრიკებში სპეციალური ცოდნის მიღება და მათი ინდუსტრიალური ცხოვრების გაცნობა, სადაც იზრდება მომავალი ჩვენი მუშებისა. ეს მიუცილებელი საჭიროებაა ჩვენთვის, მუშებისათვის არა მარტო სპეციალური ცოდნის მისაღებად, არამედ საერთო მისწრაფებათა საფუძვლიანად შეთვისებისათვისაც, ამიტომ ჩვენ დარწმუნებულნი ვართ ამხანაგი სტუმრები დახმარებას გაგვიწევენ და ჩვენი დიდი ხნის სურვილი ევროპის ამხანაგ მუშებთან ურთიერთობისა უნაყოფოთ არ ჩაივლის, და დაგვეხმარებიან ევროპაში წასვლის გაადვილებასა და სპეციალურ ცოდნის შეძენაში, რაც ასე საჭიროა ჩვენთვის.

გ. კვიკვიძე.

წესრიგის დაცვაც ასე უნდა?

22 სექტემბერს საღამოს მატარებლით ბორჯომიდან ქ. თფილისში სხვათა შორის მოემგზავრებოდა ორი ქალი. მათ თან მოჰქონდათ ცოტაოდენი ბარგი. სხვანაირათ [illegible] და სამოვარის წამოღება, რომლებიც შეადგენდნენ მათ ბარგს, შეუძლებელი იყო: მატარებლის ჩამოდგომისას ერთი ამ ქალთაგანი ავიდა ვაგონში ბარგით და სამოვარით. მეორე კი, რომელსაც თან ჰქონდა ბილეთები და ფული კიდევ ძირს იყო. ამ დროს მატარებელში შეიჭრა ვიღაცა კაცი, რომელმაც საქმის ვითარების გაუგებლათ დაუწყო გამოყრა ბარგს ვაგონიდან. ამას მოჰყვა ზემო დასახელებულ ქალთა ჭურჭელი თევშები, ორიოდე ქილა მურაბა და სამოვარი. მე-3-მე ზარმაც მოუსწრო. მატარებელი დაიძრა. ერთი ქალთაგანი უბილეთოდ და უფულოდ თან გაჰყვა მატარებელს; მეორე დარჩა სადგურის ბაქანზედ თავის დამტვრეულ ბარგით. ყოველივე ეს ჩაიდინა, როგორც შემდეგ გამოირკვა ბორჯომის სადგურის უფროსმა ბ-ნმა ცქიტიშვილმა.

ეხლა ყოველივე ამის შემდეგ ვეკითხები, ვისაც ჯერ არს, რა არის ეს? წესიერების და სამართლიანობის დაცვა? კანონიერებისათვის ბრძოლა? არა მგონია! თუ ის ავეჯი, რომელიც ბ. ცქიტიშვილმა ვაგონიდან გადმოჰყარა და დაამტვრია, არ შეიძლებოდა გაეტარებინათ სამგზავრო ვაგონით, მაშინ სად იყვნენ მათი ვაგონში შეტანისას? ან თუ ესეც ვერ შეამჩნიეს მე-3-ე ზარამდე, მაშინ ნუ თუ არ შეიძლებოდა მათი პატრონისათვის ოქმის შედგენა და სათანადო წესით დასჯა თუ დაჯარიმება? ასეთ მოქმედებას რკინის გზაზე ადგილი არ უნდა ჰქონდეს?

P. S. ყოველივე ამას დაესწრო დამფუძნებელი კრების ერთი წევრთაგანი და მრავალი მგზავრი.

მგზავრი **არჩილ მიქაბერიძე.**

ს.-დ. პარტიაში

გორის სამაზრო კომიტეტის კრება.

5 სექტემბერს მოხდა კრება გორის სამაზრო კომიტეტის წევრებისა.

თავმჯდომარეობს ი. გაბუნია, მდივნობენ ი. რუხაძე და ა. ქვათაძე.

გასარჩევათ დაისვა შემდეგი საკითხები:

1) მიმდინარე მომენტი, 2) მოხსენება ბიუროს მუშაობის შესახებ, 3) მოხსენებები ადგილებიდან, 4) საოლქო შტაბის არჩევნები, 5) კომისიის წევრების ცქიტიშვილის და ხუხუნაიშვილის მოხსენება აგრარულ რევიზიის შესახებ, 6) პარტიული მუშაობა, 7) პარტიული კასის ფონდი, 8) შეხვედრა ევროპის სოც. დელეგაციის, 9) მიმდინარე საკითხები.

მომენტის შესახებ მოკლე მიმოხილვას აკეთებს კომიტეტის თავმჯდომარე ი. გაბუნია, რომელიც აღნიშნავს, რომ, მიუხედავათ ჩვენი მდგომარეობის კიდევ უფრო გამტკიცებისა,—დემოკრატიამ სიფრთხილით უნდა უდარაჯოს გარეშე და შინაურ მტრების მოძრაობას. აღნიშნავს ყველა სიძნელეთა შორის ფინანსიურ სიძნელეს. აღნიშნავს აგრეთვე ევროპის სოც. დელეგაციის ჩამოსვლის დიდ უაღრესათ მნიშვნელობას, ეხება პოლონეთის ფრონტს და სხვა.

პროპაგანდისტი ქვათაძე დაწვრილებით ჩამოთვლის ბიუროს ყველა ნაბიჯს, რის შემდეგ აშკარა ხდება, რომ, საზოგადოთ, ორგანიზაციული მუშაობის საქმიანობა და ნაყოფიერება ამ მუშაობისა გორის მაზრაში მეტათ თვალსაჩინოა და სანაქებოთაა დაწყებული. მისი ნაყოფიერება ემჩნევა განსაკუთრებით იმის შემდეგ, რაც მოხდა ძველი კომიტეტის და ბიუროს შევსება რეორგანიზაცია.

ყველაზე მეტი დრო დასჭირდა ადგილებიდან მოხსენებების მოსმენას. ის მეტათ საინტერესო იყო და ეხებოდა უმთავრესათ პარტიულ საქმიანობას მაზრაში და საერთოდ ცხოვრების სხვადასხვა მხარეებს. გამოირკვა, რომ მდგომარეობა საერთოდ ისე გამოკეთებულია ყველგან, რომ შედარებაც არ შეიძლება წინანდელთან. პარტიული მუშაობა, ორგანიზაციების მოწყობა ჩქარის ტემპით მიდის. ყველა თემის ორგანიზაციებს მჭიდრო კავშირი დაუჭერიათ სამაზრო კომიტეტთან; იმართება ხშირი კრებები, გამოწერილია პარტიული გაზეთები და სხ. ა. ყოფილა ხელის შემშლელი პირობებიც, როგორიცაა მიწის ძვრა და მობილიზაცია. თითქმის ყველა პარტიის წევრი გვარდიაში, ან ჯარში წასულა, ნაწილს სახლი დაქცევია და მის აშენებას ცდილობს და ამნაირათ პარტიული მუშაობა შეფერხებულა. მილიცია გამოკეთებულა და თემებიც უფრო [illegible] მუშაობას ერთი დიდი ნაკლი არის, — ესაა კულტურულ ძალების უქონლობა. ამის გამო ვერც სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია და

ვერც პოლიტიკური ორგანიზაციები სათანადო სიმაღლით ვერ ანვითარებენ თავის საქმიანობას.

გორის მაზრის საოლქო შტაბის არჩევნებისათვის კომიტეტმა გამოიმუშავა სასურველ კანდიდატების სია:

სავანგებო სარევიზიო აგრარული კომისიის წევრი ხუხუნაიშვილი და დამფ. კრ. წევრი ტატიშვილი აკეთებენ მოხსენებას, რომლიდანაც ირკვევა, რომ აგრარულ რეფორმის გატარების დროს ძველი მემამულეები მიმართავდენ საარაკო ხერხს, ქრთამავდენ ვისზედაც და სადაც ხელი მიუწვდებოდათ და სხვა, რომ რაც შეიძლება მეტი ნორმები მიეღოთ. მათი მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ბევრი ასეთი ბოროტ-მოქმედებები აღმოჩენილია, რის გამოსარკვევადაც დანიშნული იყო მკაცრი გამოძიება. კომისიის წევრები აღნიშნავდენ აგრეთვე, რომ მათ კვლევა-ძიებაში დიდ დაბრკოლებას უწევდა, როგორც ორგანიზაციები, ისე თითეული მათი წევრები, რაც წინად არ იყო.

საინტერესო კამათი გამოიწვია პარტიული მუშაობის პრინციპიალურმა გაშუქებამ. ორატორთა სიტყვით შესამჩნევი გახდა ის გარემოება, რომ ჩვენი პარტიული ამხანაგების ზოგი ნაწილი სრულებით მოსწყდა წმინდა პარტიულ მუშაობას. მიზეზი ამისი არის ის, რომ ის საქმეები, რაც მათ აქვთ დაკისრებული პარტიის გარეშე, მათის აზრით არის უფრო პარტიული და მაშასადამე, თვით პარტიაში ძველებურად მუშაობა მიაჩნიათ მეტ ბარგად. ამის შესახებ კომიტეტმა სერიოზულ მსჯელობის შემდეგ გამოიტანა სათანადო დადგენილებანი და შეიმუშავა დისციპლინა ყველა წევრებისათვის სავალდებულო.

საკითხი დელეგაციის შეხვედრის მოწყობის შესახებ მიენდო ბიუროს. გარჩეულ იქნა წვრილი საკითხებიც, რის შემდეგ კრება დამთავრდა. ყველა საკითხებზე გამოტანილ იქნა შესაფერი რეზოლიუციები.

მოხეტიალე რაჭველი.

მილიციელთა შორის

10 სექტემბერს გაჰურელიძის ცირკის შენობაში შესდგა თფილისის მილიციის მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის წევრთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო 500 წევრი. კრება გახსნა კავშირის თავმჯდომარემ—ამხ. ჯაფარიძემ. განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება გამგეობის წარსული მუშაობის შესახებ, 2) ეკონომიური საკითხები, 3) პროფ. კავშირთა ცენტრალური საბჭოს წევრთა მოხსენება მუშათა კოოპერატივის დაარსების შესახებ და 4) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის დამატებითი არჩევნები.

მოხსენებას აკეთებს კავშირის მდივანი ალ. ჩხაიძე. ის კრებას აცნობს გამგეობის წარსულ მოქმედებას. კრებამ მოიწონა გამგეობის მუშაობა და აღუთქვა მას დახმარება მომავალ მუშაობაში.

ეკონომიურ საკითხებზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ჯაფარიძე. ის განუმარტავს კრებას საერთოდ ყველა მუშა-მოსამსახურეთათვის შექმნილ მძიმე მდგომარეობას და კერძოთ მილიციის მოსამსახურეებისას და იმედს გამოსთქვამს, რომ გამგეობა მიიღებს ყოველგვარ ზომებს მილიციელ მუშა-მოსამსახურეთა ეკონომიური პირობების გასაუმჯობესებლად. მანვე აცნობა კრებას, რომ გამგეობის ინიციატორობით არის შექმნილი ქალაქის თვითმართველობის საწყობიდან ყველა მილიციის მოსამსახურეებისათვის ფეხსაცმელები, რომლებიც დაურიგდებათ ამხანაგებს ხელ მისაწვდომ ფასებში და მათი ღირებულება გამოერიცხებათ ორი [illegible] თვის ჯამაგირებიდან.

მუშათა კოოპერატივის დაარსების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. კალანდაძე, რომელმაც მოუწოდა ამხანაგებს შემოკრბენ მუშათა კოოპერატივის გარშემო და გაუწიონ მას დახმარება შეძლებისა და გვარად. კრება ერთსულოვნად ხვდება მომხსენებლის მოწოდებას და აღუთქვამს ყოველ მხრივ დახმარებას ამ დიდი საქმის განხორციელებაში.

დასასრულ ხდება გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები.

კავშირის მდივანი ა. ჩხაიძე.

მუშათა შორის

ტრამვაის სახელოსნო.

29 ენკენისთვეს დილის 9 საათზე დასახელებულ სახელოსნოში მუშებმა მოულოდნელად გაფიცვა გამოაცხადეს. მთელი დღე არ უმუშავნიათ, ვიდრე მიზეზს დავასახელებდე რომელსაც თვითონ ასახელებენ, მე მინდა მივაქციო თფილისის ყველა პროფესიონალური კავშირების ყურადღება ამ არა სასურველ მოვლენას. ასეთ გამოსვლებს დიდი ზიანის მოტანა შეუძლიან, თუ დროზე არ იქნა მიღებული ზომები, როგორც კავშირების ისე სეკრეტარიატის მიერ, პრესის და სხვა საშუალებით უნდა დაიგმოს ასეთი გამოსვლა, რომელიც პირველი არ არის ტრამ. სახელოსნოს მუშებში გაფიცვას ისე ეთანხმებიან, დილით შუადღეზე და სხვა დროს სულ ერთია დაყრიან იარაღს და გამართავენ მიტინგს. ეხლა გაფიცვისა მიზეზი ის იყო, რომ ევროპის სოციალისტური დელეგაცია რომ ჩამოვიდა იმ დღეს ჯამაგირი ჯერ არ მიუღიათ—ჯერ არც სხვა მუშებს მიუღიათ, მოითხოვეს აგრეთვე ავანსით ათ ათი ათასი მანეთი. მოკლეთ ასეთია მიზეზები. ამბობენ ვილაცას ხელები მუშაობს, მაგრამ საინტერესოა ვიცოდეთ: რას აკეთებენ ჩვენი ამხან. ხელები ამ დროს? საჭირო კი არის ვიდრე სხვა დარგის მუშები მიგვითითებდნენ ჩვენს შეცდომებზე, ჩვენვე მივიღოთ ზომები.

ტრამვაიელი.

ფოთი.

12 სექტემბერს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს ბინაზე შესდგა მორიგი კონფერენცია. 17 კავშირიდან, კონფერენციას დაესწრო 16 კავშირის წარმომადგენელნი. განსახილველი იყო საკითხის სპეკულიაციასთან ბრძოლის შესახებ.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ქორქიამ, რომელმაც ხაზი გაუსვა მუშათა აუტანელ მდგომარეობას და ვაჭრების მიერ პირველ საჭიროების საგნების ხელოვნურად გაძვირებას. მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილება: იღებს რა მხედველობაში ქ. ფოთის მუშა-მოსამსახურეთა მძიმე მატერიალურ მდგომარეობას, რომელიც გამოწვეულია ვაჭრების მიერ პირველ საჭიროების საგნებზე ხელოვნურად ფასის გადიდებით, კონფერენცია აღიარებს, რომ ასეთ შემთხვევაში აუცილებელია სასტიკი ბრძოლა იქნას წარმოებული ვაჭრებთან ბაზარზე ფასების დასაწევად და მოსაწესრიგებლად.

შემდეგ დადგენილ იქნა: ა) ეთხოვოს ქალაქის გამგეობას პირველ საჭიროების ყველა საგნებზე დანიშნოს ახალი ნიხრი. ბ) წინადადება მიეცეს პროფესიონალურ კავშირების ყველა წევრებს ამხანაგური და პროფესიონალური დისციპლინის წესით ცხოვრებაში გაატარონ მუშათა კონტროლისა და მუნიციპალიტეტის ყველა დადგენილებები. გ) სპეკულიაციასთან და ფასების მომატების წინააღმდეგ საბრძოლველად დაწესებულ იქნას მუშათა კონტროლი. დ) მუშათა კონტროლს მიეცეს ფართო უფლებები ქალაქის მუშა მოსამსახურეების მძიმე პირობების შემსუბუქების მიზნით, ქალაქის მუნიციპალიტეტთან კონტაქტში სამუშაოთ. ე) ქალაქის ნიხრის დამრღვევი კავშირის წევრები, დათხოვნილ იქნებიან კავშირიდან.

კონფერენციამ გადასწყვიტა გამოუშვას მცხოვრებლებისადმი მოწოდება, რათა მათ ნიხრზე ზევით არ იყიდონ. ხოლო ვაჭრები, რომელნიც დაარღვევენ ქალაქის ნიხრს, ადმინისტრაციას გადაეცემიან.

ქ. ფოთის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს წინადადება მიეცა განსაკუთრებულის მოწოდებით მიმართოს ქალაქის მილიციის მოსამსახურეთა კავშირს, რომ მათ ენერგიულად და ფხიზლად თვალყური ადევნონ მუნიციპალიტეტისა და მუშათა კონტროლის დადგენილებების ცხოვრებაში გატარებას.

კონფერენციამ სურვილი გამოსთქვა, რომ მეხორციები, რომელნიც გაფიცვას გამოაცხადებენ და უხორცოთ დასტოვებენ მთელ გარნიზონს, გვარდიას და ქალაქს სასტიკად იქნან დასჯილნი, ხოლო დუქნები ჩამოერთვათ და ქალაქს გადაეცეს.

ბათომი.

იაფ-ფასიანი სასადილოთი სარგებლობა.

23 სექტემბერს მუშათა მაგიდამ აცნობა მუშათა მაგიდის იაფფასიან სასადილოების ყველა გამგეებს, რომ იაფფასიანი სასადილოთი სარგებლობა შეუძლიათ არა მარტო სახელმწიფო დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეებს, არამედ ყველა დანარჩენ მოსამსახურეებსაც, რომელნიც სარგებლობენ მუშათა მაგიდის რაციონით. სადილი მიეცემათ სახელმწიფო დაწესებულებათა მუშა მოსამსახურეებს - 60 მანეთად, ყველა დანარჩენ მოსამსახურეებს 80 მანეთად. რომ შესაძლებელი იყოს მუშა-მოსამსახურეების გარჩევა—მუშათა მაგიდის მიერ მოწმობებზე აღნიშნულ უნდა იყოს: „სახელმწიფო“, „საზოგადო“, „კერძო“.

შრომის ბირჟა.

23 სექტემბერს შრომის ბირჟაში იყო 56 კაცი (22 მამაკაცი, 44 ქალი), ახლად ჩაეწერა 4 კაცი (1 მამა-კაცი, 3 ქალი). სამუშაოზე გაიგზავნა 1 მეგაზეთე, 1 ხელზე-მოსამსახურე, 1 ძიძა, 1 მექვაბე. 24 სექტ. მოთხოვნილი არიან 1 მეგაზეთე, 1 მჭედელი, 17 შავი მუშა, 1 ხელზე მოსამსახურე და 1 სამკედლოში მომუშავე.

დანიელოვის თამბაქოს ქარხანა.

შრომის კომისარმა ოფიციალური ქაღალდი გაუგზავნა დანიელოვის თამბაქოს ფაბრიკის ადმინისტრაციას, რომელშიაც კომისარი აფრთხილებს ადმინისტრაციას კანონით დაწესებულ წესების დარღვევისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში მიღებულ იქნება უფრო გადამწყვეტი ზომები. ეს მიმართვა გამოწვეულ იქნა იმ გარემოებით, რომ შემჩნეულ იქნა—დანიელოვის თამბაქოს ქარხანაში არ ტარდება დაწესებული 6 საათიანი სამუშაო დღე და გარდა ამისა მუშა მოსამსახურეებს, ჯერაც არ მიუღიათ საანგარიშო წიგნაკები.

ვაჭრობა-მრეწველობის მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის განცხადება. ვაჭრობა-მრეწველობის მოსამსახურეთა პროფ. კავშირმა მიმართა შრომის კომისარს განცხადებით იმის შესახებ, რომ კავშირში შემოდის [illegible] საჩივრები მწარმოებლების მხრივ მოსამსახურეთა უკანონოთ დათხოვნისა, მცირე წლოვანთა შრომის პირობების გაუგებრობისა და საანგარიშო წიგნაკის შესახებ რესპუბლიკის კანონის დარღვევის შესახებ. კავშირი აუცილებელ საჭიროთ სთვლის მიღებულ იქნას ამის წინააღმდეგ ზომები.

შრომის კომისარმა ამ განცხადებაზე უპასუხა, რომ ამ დღეებში მიღებულ იქნება კანონი შრომის ხელშეკრულების შესახებ სახელმძღვანელოთ და ზოგიერთი ამონაწერი გამოქვეყნებულ იქნება.

პროფესიონალურ კავშირთა საბჭოში. 24 სექტემბერს ვიილოს თავმჯდომარეობით შესდგა ბათომის პროფ. კავშირთა საბჭოს სხდომა. სახალხო გვარდიის დღესასწაულის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. აიოლო, რომელიც აცნობს საბჭოს სეკრეტარიატის დადგენილებას დღესასწაულის შესახებ და ახასიათებს სახალხო გვარდიის მიზანს. მომხსენებელი წინადადებას იძლევა ყველა წევრებს გამოერიცხოს ჯამაგირიდან და სამუშაო ქირიდან განსაზღვრული პროცენტები სახალხო გვარდიის კულტურულ-განმანათლებელ ფონდის სასარგებლოთ.

საბჭომ დაადგინა. დღიურ სამუშაო ქირიდან გამოერიცხოთ კავშირის წევრებს 50 პროცენტი სახალხო გვარდიის კულტურ. განმანათლებელ სექციის ფონდის სასარგებლოთ.

პროვინცია

ზედა სიმონეთი. (ქუთაისის მაზრა). ზედა სიმონეთის თემი შესდგება სამი სოფლიდან: ძევრი, ეწერი და ზედა სიმონეთი. აქ წელს პურის მოსავალი ნაკლები იყო. სიმინდს და ვენახებს კარგი პირი უჩანდა, მაგრამ უეცრად ამოვარდა ქარი, დაიჭირა სიცხე და თითქმის ორ კვირას გასტანა და ისე გაანადგურა სიმინდი და ვენახები, რომ წელს გლეხკაცობას ორი თვის საზრდოც არ მოუვათ. ხალხი მეტათ გაჭირვებულ მდგომარეობაშია. თუ რამე გააჩნდათ წვრილფეხა შინაური ცხოველები და ზოგმა ხარებიც კი გაჰყიდა, რათა სიმინდი შეეძინათ, წელს რა გზას დაადგენ, არ იციან.

ხალხის გაჭირვებულ მდგომარეობას სათანადო ყურადღებას აქცევს ადგილობრივ თემის გამგეობა. მან გადასწყვიტა დაარსოს სასურსათო მაღაზია და კიდეც აირჩია განსაკუთრებული კომისია ამ საქმის მოსაგვარებლათ.

მიხეილ მაჩიტაძე.

ს. მცხეთა. 12 ენკენისთვეს ს. მცხეთაში შესდგა საზოგადო კრება. თემის თავმჯდომარის თავმჯდომარეობით. განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: მიწების დაყოფა, რწმუნებულების გაუქმება და ანგარიშების გადაცემა თემზე. მცხეთის თემის რაიონში მუშაობდა გამოყოფილი კომისია სოფლის მიერ ამორჩეულ პირებთან ერთად. დღემდი გამოურკვეველია ამ კომისიის მუშაობა. გამოურკვეველ მიზეზების გამო მუშაობა უკვე შესწყდა. თემის თავმჯდომარე გ. იმერლიშვილმა, ხალხს განუმარტა საქმის ვითარება და დანიშნა მიწების დაყოფის საჩქაროთ მოხდენის საჭიროება. კრებამ ერთხმად დაადგინა: დარჩეს ისევ ძველი სასოფლო კომისია, რომელიც მუშაობდა მიწის მზომელებთან ერთად. მცხეთის თემის გამგეობას აზრათ აქვს. გამოისყიდოს სათიბო მიწები და გადასცეს კერძო საკუთრებათ გლეხებს.

მცხეთელი გლეხი.

ხონი. მოწაფეთა მიღება სასწავლებლებში თითქმის დასრულდა. მრავალი მოწაფე დარჩა შკოლის გარეშე—მასწავლებლების სიმცირის გამო. ვერც საოსტატო სემინარია და ვერც გიმნაზია პარალელურ განყოფილებებს ვერ ხსნის. მრავალი მშობელი გულ-ატირებულია და წელში ხონის სასწავლებლებში მასწავლებელთა დიდი კრიზისი იქნება: ჯამაგირის სიმცირის გამო ზოგი მასწავლებელი ცენტრებს აშურებს, სადაც მუშათა მაგიდა ცოტათი მაინც ამსუბუქებს მათ მდგომარეობას, ზოგი კი სხვა სამსახურში გადადის. მრავალჯერ აღიძრა შუამდგომლობა მუშათა მაგიდის გახსნის შესახებ, მაგრამ უშედეგოდ, ყურადღებას არავინ გვაქცევს. რომ ამ მხრივ მაინც უზრუნველყოფილიყო მასწავლებლობა, მაშინ პარალელური კლასების გახსნაც ადვილი საქმეც იქნებოდა და არც ძირითადი კლასების მასწავლებლები იქნებოდა საჭირო.

— 11 ენკენისთვეს მოხდა ხონის უმიწაწყლო გლეხთა პროფესიონალური კავშირის საბჭოს კრება. გამოირკვა, რომ მიწები თითო-ოროლა შემთხვევის გამოკლებით, ყველგან კარგად დაუმუშავებიათ პროფესიონალურ კავშირების წევრებს, გამგეობას თვალყური უდევნებია შრომის განაყოფიერებისათვის, ჯარში გაწვეულთა მიწების დამუშავებისთვის და სხვ. გამოირკვა ისიც, რომ ბევრგან ცუდად დამუშავებულია იმ მემამულეებთ მიწები, რომელნიც გაჯიუტდენ, გლეხებს მიწები არ მისცეს და თითონ შეუდგენ მიწების დამუშავებას. მკითხველს ეხსომება, თუ რა [illegible] აუტეხეს ამ კავშირების შესახებ ნაციონალ-დემოკრატებმა, რომლებიც გამალებით იცავდენ მემამულეებს. ნაციონალ-დემოკრატების ვაი—ოქროპირი ილარიონ ჟღენტი იყო, რომ მემამულეებს ურჩევდა: არამც და არამც არ მისცეთ გლეხთა კავშირს ყანები და თქვენვე დაამუშავეთ. ბევრი მემამულე ასეც მოიქცა და მათი მუშაობის ნაყოფიც უკვე სჩანს: ბევრმა მათგანმა ტყუილა მოაცდინა მიწა. კავშირებმა დაადგინეს: შედგეს კომისია ქალაქის წარმომადგენლებთან ერთად, რომელიც გამოიკვლევს, თუ როგორ დაამუშავეს მიწები. როგორ პროფ. კავშირის წევრებმა, ისე გაჯიუტებულმა მემამულეებმა. კომისიის მუშაობის რეზულტატები გამოქვეყნებული იქნება. ამავე სხდომაზე დადგენილ იქნა მემამულეებს ღალა მიწის ხარისხის მიხედვით მიეცეს. პირველი ხარისხის მიწიდან (ეზოები და განოყიერებული ადგილები) მემამულეს მიეცემა ერთი მესამედი, მეორე ხარისხიდან (მუშის მიერ მოწყობილი ადგილები) ერთი მეოთხედი, მესამე ხარისხიდან ერთი მეხუთედი, მეოთხედან—ერთი მეექვსედი. სანახევროთ არც ერთი ქცევა არ იქნება დამუშავებული. ღალა თითონ მემამულემ უნდა წაიღოს საკუთარის ურმით. საჭიროა, ეს გადაწყვეტილება საქმით დაიცვან კავშირის ყველა წევრებმა და შეცდომა არავინ ჩაიდინოს: მემამულეს შინაურულის შეთანხმებით დაწესებულზე მეტი არ მისცენ.

დამსწრე.

წერილი რედ.-მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ დაუთმოთ ადგილი თქვენს პატივცემულ გაზეთის ფურცლებზე შემდეგ სტრიქონებს.

მიმდინარე წლის ივნისს აკაკი მეთოდეს ძე ბ-ნმა ხოშტარიამ და ბ-ნ იმჯ. შტრანგმა ერთდროული დახმარება გაუღეს გერმანიაში ამ ჟამად მოსწავლე ულარიბეს არა-სტიპენდიანტ სტუდენტთა სასარგებლოდ, პირველმა ოცდახუთი ათასი მარკა და მეორემ ათი ათასი მარკა. ეს დიდი დახმარება გაღებულ იქნა სწორედ იმ დროს, როცა ეს ღარიბესი ნაწილი ქართველი სტუდენტობისა განიცდიდა უკიდურეს გაჭირვებას მატერიალურის მხრივ, სწორედ იმ დროს, როცა გერმანიაში მოსწავლე ქართველ სტუდენტების ამ ნაწილის წინაშე იდგა საბედისწერო autaut: ან მიტოვება სწავლისა და სამშობლოში გამგზავრება, ან დარჩენა და შიმშილით სიკვდილი გერმანიაში. ეს დახმარება სრულიად მოულოდნელი იყო მისთვის, და საშუალება მისცა ამ სტუდენტებს (რიცხვით 12 კაცს), თუნდაც რომ დიდის დაჭირვით, რომელიც მხოლოდ შესაძლებელია ადამიანისთვის, შეინარჩუნონ თვისი ფიზიკური არსება და განაგრძონ თავიანთი ჩვეულებრივი მეცადინეობა გერმანიის უმაღლეს სასწავლებლებში ამა წლის დეკემბრის შუა რიცხვებამდის. ის გრძნობები, რომლებითაც შეხვდა გერმანიაში მოსწავლე ულარიბესი არა-სტიპენდიანტი სტუდენტები ამ მოულოდნელ უხვ შემოწირულების ამბავს, ვერ გამოითქმება სიტყვით. ვიქონიოთ იმედი, რომ ცხოვრებაში სიდუხჭირენი, რომელნიც უეჭველ კიდევ არაერთხელ გვეწვევიან ჩვენ ჩვენი სტუდენტურ ცხოვრების დროს, არ იქნებიან იმდენად საბედისწერონი და სასტიკნი, რომ ჩვენ ვერ შევსძლოთ გავამართლოთ შემდეგში სამშობლოს საკეთილდღეოთ.

მიიღეთ ბ-ნო რედაქტორო, ჩვენი ულრმესი პატივისცემა.

გერმანიაში მოსწავლე არა-სტიპენდიანტ სტუდ. ულარიბესი ნაწილის მონდობილობით **კომისია.**

ქ. ბერლინი, 5 აგ. 1920 წ.

გაზ. „კლდის“ № 73-ში ბორჩალოს მაზრიდან მოთავსებულია კორესპონდენცია კ. სვიმონიშვილისა, რომელიც მეხება.

„გრიგორ კიკნაძე სწერს: ენა წყლიანი კორესპონდენტები იღებდა—დიდ ჯგუფის მიწების ღალებს პურის და ქერის ხორბლებს. თუმცა ბეღელი გამაგრებული იყო, შიგ არამც თუ თაგუნები, ფუტკარიც ვერ შეძვრებოდა, თეფლის ალება რომ ნებომოდა (ქართულად ითქმის ნდომებოდა), მაგრამ ბ. რამიშ ლმა, რომელიმე მოლოდინების (!!!) გამო ეჭვი შეიტანა, რომ ბეღელში თაგუნები ქურდობენ და ორჯელ ხმამაღლის თვეში შედგენინა აქტი, რითაც დაადასტურა, რომ ერთხელ 12 ფ. და ერთხელაც 8 ფუთამდე თაგუნებს შეუჭამიათ. ეს საქმე ისე იყო ჩაფარცხული და სხვა.

თუ ეს ასეა, როცა საწყობში რვა თვის განმავლობაში ინახებოდა ათას ორასი (1200 ფ.) ფუთი ხორბალი, ანგარიშით ოცი ფუთი კი არ უნდა გაუქმებულიყო, უკანასკნელი ოცდა თექვსმეტი (36, ფუთი მაინც. ან სად არის ბოროტ-მოქმედების ნასახიც კი იმ წერილში, რომელიც რუსულად დაგიწერიათ გაზეთში?

ეს წერილი ჩემი წერილია, რომელიც გავგზავნე ბაშკიჩეტის სოფლის კომისარის სახელზე თფილისიდან. ნუ თუ ამ წერილითაც ამტკიცებთ ჩემს ბოროტმოქმედებას. ორი ოქმით, გავაუქმეთ მხოლოდ 18 ფუთი და ესეც შემოწმებული იყო ბაშკიჩეტის მცხოვრებლების ალექსი ობედკოვის, მიხ. დიაკოვის, და ალექსი დემენტიევის, მიერ. და ის მტკიცება, რომ ვითომც ათი ფუთი ხორბალი გაგვეყიდოს და ორასი თუმანი ფული გამოგვერთვას. ეს კი ნამდვილი და უმშვენიერესი სვიმონიშვილური ტყუილები და ჭორებია.

15 ფუთი ხორბალი, რომელზეც ამყარებთ ჩვენს ბოროტ-მოქმედებას, ჩვენ, როგორც მოსამსახურეებს დაბალ ფასებში დაგვითმო მიწათ-მოქმედების სამინისტროს რწმუნებულმა.

და ამისი კვიტანციებიცა გვაქვს ხელში. ეს ეს ხორბალი მივეცით დასათესათ და სწორედ ამან გამოიწვია ის რუსულად დაწერილი ბარათი, რომელიც თქვენ მოგაქვთ გაზ. „კლდის“ ფურცლებზე.

რაც შეეხება თქვენი მეგობრის დიაკოვის ცნობებს, ეს სულ ზღაპარია, რომელსაც მოცლილი კაცის მეტი, აბა, ვინ მიაქცევს ყურადღებას.

და ბოლოს ნება მიბოძეთ გაგაცნოთ ეს სვიმონიშვილი. ეს ის გმირია, რომელიც ბორჩალოს მაზრაში დადიოდა და ჩვენი რესპუბლიკის მოქალაქე თათრებს იმ რუსის შვილების წინააღმდეგ აქეზებდა: ისინი სოციალისტები არიან, მიწებს წაგართმევენ და თვითონ დასახლდებიანო... მაშინვე დაიჭირეს ეს ძველის უძველესი ცოდვილი, ქუთაისის ნაპოლეონისტური პროვოკატორი და კიდევაც იჯდა ციხეში ამისთვის.

რა თქმა უნდა, ახლა კბილებ ალესილია და ჩვენზე შურს იძიებს. მარა ანგარიშში მოტყუებულია.

გრიგოლ კიკნაძე.

ჩვენი ფოსტა

დომენტი არონიშვილს. სასწრაფოთ შემოიარეთ რედაქციაში.

რედაქტორი **ლევან ნათაძე.**

განცხადებანი

დავკარგე

სამხედრო სამსახურის თავისუფლების მოწმობა, შორაპნის მაზრის სამხედრო აღრიცხვის-უფროსის მიერ მიცემული. ვაცხადებ გაუქმებულად. შალვა ტაბატაძე. (კუპ. 902—1—1)

1921 წელს 15 იანვარს

დილის 11 ს. გუდაუთში, კურზალში საჯარო ვაჭრობით

იყიდება

ნაჭრობით საშეშე ტყე 1300 კუბ. საჟენი. (კუპ. 901—1—1)

დილის და საღამოს მოსამზ. ჯგუფებს

მე 2, 3, 4, 5, 6 კლასის

მოწაფის მისაღებად და ყველა სასწავლებელში შესასვლელად ვადგენ, ჩაწერა 9—12 ს. 2—4 ნახ. ს. ი. მაჩაიძესთან. პლეხანოვის ქ. 25, (შესავალი ალექსის ქუჩის კუთხიდან) № 5, 1-ლი [illegible]. (3192—3—1)

სამტრედიის ქალაქის გამგეობას ესაჭიროება

ექიმი ბეითალი

პირობები იქნება სამაზრო ექიმის ბეითალის, პირადათ და წერილობით მოლაპარაკება შეიძლება ქალაქის მოურავთან 9—1 ს. გამგეობა (3188—2—1)

იაფი ლამაზი ფეხსაცმელები

მიღებულია ქალების, მოწაფეების და ბავშვების ფეხსაცმელი, სეზონის შესაფერი. მანველოვის წიგნის მაღაზია, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. (8169—1—1)

კბილის ექიმი

ე. ტ. ლორის-მელიქოვი ჯიგლაძისა

ღებულობს კბილის ტკივილით ავათმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63.

დოქტორი მედიცინისა

ვ. პ. მოსეშვილი

დაბრუნდა თფილისში და განაახლა შინაგან ორგანოთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფების მიღება საღამოს 4—8 საათამდე. გორკის ქუჩა, № 5, ალექსანდროვის ბაღთან ქაშვეთის ეკლესიის ახლოს. (30—ოქტ.)

ექიმი

კ. ტყეშელაშვილი

ღებულობს ავათმყოფებს: **საშარდე და სასქესო ორგანოთა სნეულებანი. კანის, ვენერიული და სიფილ. (914 და 606 შეშხაპუნება)** საღამოობით 6—7 ½ საათ. მიხეილის საავადმყოფოსთან ბელგიის ქ. № 1. (12-ოქტ.

ექიმი

ი. ი. ჭეიშვილი

დაბრუნდა და განაახლა სიფილისით (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და კანით სნეულებიან ავადმყოფთა მიღება საღ. 5—7 საათ. მისამართი: დიდი ზოავრის ქუჩა, № 72 ალექსანდროვის საავადმყოფოს პირდაპირ. (14 ოქტ.)

ექიმი

[illegible]

(ქუთაისიდან)

იღებს ქალისა და შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. ტელეფ. 10—53 (11—ოქტ.)

ექიმი

დ. ვ. ჯავახიშვილი

დაბრუნდა და იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—6 ს-დის პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 64 (საავადმყოფოს ახლოს) ტელეფონი 14—60. (18—ოქტ.)

ექიმი

[illegible]

(ქუთაისიდან)

ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს საღ. 4—7 პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის). ტელეფონი 7—38. (11—ოქტ.)

ექიმი

ლ. ვ. დიმენტი.

ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალურად შინაგან და ქალის ავათმყ. დილის 9—10 საათ. საღამოს 5—7 საათ. ნიკოლოზის ქ. № 75, კიროჩნის ქ. ახლო ტელეფ. 11—51. (11—ოქტ.

ექიმი

ი. ა. ლომოური

შინაგან და ბავშვთა ავადმყოფებით შეპყრობილთ იღებს დილ. 10—12-დე და საღამოს 6—7 საათ. კირქის (კიროჩნი) ქუჩა № 6. ტელეფ. 6—80. (4—ოქტ.)

სამკურნალო

ელექტრონის, რენტგენის [illegible]

მიხეილ გედევანიშვილისა

დილით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ჟორდანიის ქ., 20, (1—ოქტ.)

ექიმი მ. ა. შაფრანი

სპეციალურად სიფილისი და მისი [illegible] დებები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 [illegible] მხოლოდ დილით. [illegible] ქ. № 33. (21 ნოე.)

ექიმი

გ. გ. რამენდიკი

დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების მიღება. მკურნავი შინაგან ბავშვების და სპეციალურად კუჭისა და ნაწლევების სნეულებათა. ავათმყოფების მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 5—7 საათ. მიხეილის პრ. № 121 ტელეფონი—5—42 (2—ოქტ.)

ექიმი

ა. ლევენშტეინი

შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭნაწლევების ავადმ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46. 7—ოქტ.

ექიმი

ე. ი. კალანდაძე

ღებულობს შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე, ვენერიული, სიფილისით (შშ. „606“ და „914“), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს (1 ოქტ.)

იანვრისათვის და ივნისისათვის

ვამზადებ

ბავშვებს 1, 2, 3, 4 კლას. შესასვლელად. გიმნაზიაში და უმაღლ. დაწყებ. სასწავლ. ჩაწერა 9—12 ს. მეცადინეობა დილით. ბინა ი. მაჩაიძისა. პლეხანოვის ქ. 25 (ალექსის ქუჩის კუთხე). (3103—5—5)

ექიმი

ნ. ლ. ცურიაშვილი

იღებს საზოგადო, ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევისა, შუადღის 1—2 და საღ. 4—5 ს. ჩერქეზოვის ქუჩაზე № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (24—ოქტ.)

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

განაახლა მიღება ნერვიულ და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთა ბავშვების და დიდების. ელექტრო-რენტგენის კაბინეტი გიპნოზი. მიღება: დილის 10 ½—1 საათამდე, საღამოს 6—7 ს. კვირა დღის გარდა. მიხეილის პრ. № 111. ტელეფონი 13—42 (23—ოქტ.)

ექიმი ა. დ. კეკელია

სპეციალურად; სიფილისი (შეშხაპუნებ. „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 11 ოქტ.

ექიმი

ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი

გადავიდა კიროჩნი ქუჩიდან **მიხეილის პრ. № 28** ვარანცოვის ძეგლის ახლოს და განაახლა ავათმყოფების მიღება. სპეციალურად **სიფილისი**, ვენერიული ავათმყ. (გამწვავებული და ქრონიკული ტრიპერი) და კანის ავათმყ. („606“ და 914 შეშხაპუნებით) ავათმყ. მიღება დილის 12—2 საათ. და, საღამოს 6—8 ს. ქალების საღამოს 5—6 საათ. (7—ოქტ.)

კერძო სამკურნალო

სპეციალურად ვენერიულ, საშარდე ორგანოების, სიფილისით და კანის სნეულებით ავადმყოფთათვის

ექიმ

ე. მ. მქინარიშვილისა

შეშხაპუნება „606“ და „914“. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9—3 ს. ფასი 50 მან. უსახსროთათვის უფასოდ 9—11 ს. მისამართი—კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტისა და კირქის (კიროჩნი) ქუჩ. № 22. ტელეფ. 10—87. (1-ოქტ.)

დოქტორი

გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა—ფილტვი და გულისა. იღებს ახალ რენტგენ-ელექტრო კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა [illegible] სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. 11 ოქტ.—

ექიმი

გ. ი. ოქროპირიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე. [illegible] ქ. № 22, [illegible]

საკუთარი სტამბა, გრიბოედოვის ქუჩა № 4